პროლეტარეთო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ГРУЗИНСКАЯ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 97 (20188) სამშაბათი, 26 აპრილი, 1988 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

მუშებო და კოლმეურნეებო! გაბედულად აითვისეთ მეურნეობრიობის ახალი მეთოდები, შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების პროგრესული ფორმები! დაეუფლეთ მოწინავე გამოცდილებას, ეკონომიკურ ცოდნას!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საკირველმაისო მოწოდებიდან.

გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ■ მოვლენა ■ კომენტარი

ღირსეულად შევხვდეთ დღესასწაულს

სიტყვა და საქმე

ცხაკაია რაიონის სოფელ ეკის გაზეთ „კომუნისტის“ სახელობის კოლმეურნეობის მეცხოველეებმა საპირველმაისო ოდ ახალ თაოსნობას ჩაუყარეს საფუძველი — შარშანდელთან შედარებით წელიწადში მრავალად არიან ახალგაზრდები. ისინი, ვინც შეცვლის წინა თაობას. ჯერ მარტო კომკავშირულ ბრიგადაში ოცდაათზე მეტი ახალგაზრდაა გაერთიანებული. შარშან საკვების დამზადებაზე სოუკეთესო მაჩვენებლებისათვის აქაური 21 ახალგაზრდა საზღვარგარეთ სამოგზაურო ტურისტული საგზაურები დაჯილდოდა.

ინიციატორებმა სიტყვას არ უღალატეს. მიღებულია 1007 ცენტნერი რძე, რაც 239 ცენტნერით მეტია გასული წლის შესაბამის თვეებთან შედარებით. სახელმწიფოს დაგეგმილზე 219 და 20,7 ცენტნერით მეტი რძე და ხორცი ჩაბარეს, წარმატებით გაანადგეს აგრეთვე ნამატის მიღების დავალება.

კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმაში შრომის იჯარული ფორმის დამკვიდრებამ ახალი რეზერვები გამოაღვინა, ხელი შეუწყო შრომის დისციპლინის გაძლიერებას, აამაღლა ფერმის მუშაკთა პერსონალური პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისადმი.

▼ ▼

შრომითი წარმატებებისათვის

გასული წლის შედეგების მიხედვით ფოთი საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულად აღიარე ს. ქალაქი დაჯილდოდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და საკავშირო ალკა ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით;

ფოთელებს სამპატიო ჯილდო გადასცა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ო. ე. ჩერქეზიამ.

▼ ▼

შეჯიბრებაში ყველა მშრომელია ჩაბმული

ხუთშაბათს მეორე წელს სიღნაღის რაიონში სახალხო მეურნეობის აღმავლობის საქმეში დიდ წარმატებას მიაღწია როგორც მრწველობაში, ისე სოფლის მეურნეობაში. ამ წარმატებებისათვის რაიონი დაჯილდოდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, პროფსაბჭოს და საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი დროშით, რომელიც საზეიმო ვიზიტობაზე გადასცა რესპუბლიკის პროფსაბჭოს მდივანმა ლ. ბარბუდიამ.

— წინასაპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში, რომელშიც რაიონის ყველა მშრომელია ჩაბმული, — თქვა პარტიის სიღნაღის რაიკომის პირველმა მდივანმა თ. ქეგბიშვილმა, — ამ დიდი ჯილდის საპასუხოდ ენერგიის დაუზოგავად შრომობენ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მშრომელები. რაიონში მრეწველობამ პირველი კვარტალის დაკალენდარებული ვადაზე ადრე გადამეტებით შეასრულა. სოფლის მეურნეობის მშრომელები ახლა მტკიცე საფუძველზე უყრიან წლევანდელ მოსავალს.

და მართლაც, საპირველმაისო შეჯიბრებაში წარმატებებია მოპოვებული როგორც მეცხოველეობაში, ისე მემცენარეობაში. მეცხვარეებს წელს 45.000 ბატკანი უნდა ეიღოთ. დოლობა არ დადთავიგრეულა და უკვე მიღებულია 48.000-მდე ბატკანი, ანუ ყოველი 100 ნირიმდან 83-ის მაგიერად — 90.

მტკიცე საფუძველს უყრიან

დგანან რა საპირველმაისო შრომით ვახტზე, რეფოფილი (თერეოლის რაიონი) მშრომელები კარგად იყენებენ დარიან დღეებს. ჩქარობენ მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოების დამთავრებას. მოწინავე მევენახეებმა დროზე ადრე დამთავრეს ზურგაში მინერალური სასუქების შეტანა, ვაზის ბასვლელი, რიგთა შორის ბარვა. დაწინაურებენ ორ ბრიგადები, რომელშიაც ჯ. ჩუბინიძე, ლ. ბერგაგაძე, ო. ფიქრორიძე, ქ. გვენცაძე, რ. ხაცაკვაძე, ქ. სოფრომაძე და ზ. ბოგბერიშვილი ხელმძღვანელობენ.

ბეკეთობენ მემინდვრეები და მექანიზატორები, ტემპით მიმდინარეობს მარცვლეული კულტურების თესვა. მექანიზატორები ჯ. სოფრომაძე, ვ. თოდიძე, მ. სახელაშვილი, ს. ნებიერიძე თესავს დფიურ ნორმებს 130-150 პროცენტით ასრულებენ.

რეფოფილთა გადაწყვეტილებაა წარმატებით შეასრულონ ხუთშაბათი მესამე გარდამტები წლის საგეგმო დავალებანი.

▼ ▼

ექვატარზე 40 ცენტნერი

ეპოფლოსანი კულტურების თესვის აგროტექნიკურ ვადებში დამთავრებისათვის სოუკეთ ე ს ო თადარიგი დაიჭირეს მახარაძის რაიონის სოფელ შრომის ორგანიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მხვნელ-მთესველებმა. ქენის ღირსია ახალგაზრდა მექანიზატორის ბადრი ბარბაქაძის გარეა, რომელიც დავალებებს გადაჭარბებით ასრულებს.

გამრჯე მემინდვრეები თესავენ სიმინდს, ლობიოს, სოიას. მათ გადაწყვეტეს პირველ მაისამდე დაამთავრონ თესვა. თითოეულ ჰექტარზე საშუალოდ მიიღონ სულ ცოტა 40 ცენტნერი სამარცვლე სიმინდი.

მაგ ზოგჯერ ამხანაგებიც კი ვერ არჩევენ ერთმანეთისაგან. ფელაქს და გივი მილეგსაკენ ტუუპები არიან. მუშაობაშიც ერთნაირი ხელწერა აქვთ. უმაღლესი კლასი. ფელაქი თბილისის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის მეექვსე საამქროს ბრიგადის ხელმძღვანელია, რომელიც დასპეციალიზებულია ახალი ტექნიკისა და არასტანდარტული მოწყობილობის დამზადებაზე. მიმდინარე წლის იანვარში ოცდაათი წელი სრულდება მას შემდეგ, რაც მან ფეხი შემოდგა საწარმოში. სრულყოფილად არის დაუფლებული რამდენიმე სპეციალობას. გივი ქარხანაში მოსკლამდე, ეს კი თორმეტი წლის წინათ იყო, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტში მუშაობდა, სადაც ბევრი რამ ასწავლა. იგი ხელმარჯვე ოსტატია. ახლა ძმები ერომანეთის ეკიბრებიან სამაისო ვახტზე.

(სანინფორმის ფოტო).

სოფლის სასიკეთო გარდაქმნა

ახლა, როდესაც ჩვენს კოლმეურნეობაში, ისევე როგორც ყველგან, ფართოდ არის გაშლილი შეჯიბრება სკკპ XIX კონფერენციის ღირსეული შეხვედრისათვის, გონების თვალს კიდევ ერთხელ ვაკვლევთ ამ სამი წლის წინანდელი აპრილის შემდეგ განვლილ გზას, აპრილისა, რომელმაც დასაბამი მისცა ჩვენს საზოგადოებაში ამჟამად მიმდინარე ყველა იმ სასიკეთო ცვლილებასა და ეშეშარიტად რევოლუციური სასიათის გარდაქმნას, რომლებიც დააკონკრეტა და საბოლოდ პროგრამად ჩამოაყალიბა პარტიის XXVII ყრილობამ.

ამ წლების მანძილზე, როგორც ეს ნათქვამია გაზეთ „პრავდის“ სწორ და საჭირო პუბლიკაციაში — „გარდაქმნის პრინციპები: აზროვნებისა და მოქმედების რევოლუციურობა“ — ბევრი რამ მოხდა. შემუშავებულია გარდაქმნის კონცეფცია, სტრატეგია და ტაქტიკა. ზუსტად განისაზღვრა მისი რევოლუციური პრინციპები: მეტი დემოკრატია, მეტი სოციალიზმი. დღეს გარდაქმნა სოციალური პრაქტიკაა.

მე ჩემი შშობლიური კოლმეურნეობის მაგალითით ვილაპარაკებ იმაზე, თუ რით იყო ჩვენთვის ყურადსაღები განვლილი ბილო სამი წელი, რა შეიტანა მას შემდეგ კოლმეურნეობის შრომელთა ყოველდღიურობასა და, რაც მთავარია, ადამიანთა შეგნებაში.

ამას წინათ, მორიგ საწარმოო თათბირზე, ყველასთვის მოულოდნელად კოლმეურნეობის ამაგდარმა და მოწინავე ბრიგადირმა გიორგი წაწიშვილმა გადაჭრით განაცხადა: დღეიდან ჩემი ფეხი აღარ იქნება კანტორაში, ბრიგადირობას თავს ვინებებო.

სიმართლე გითხრათ, ყველა დაგვაბნია და შეგვაწუხა კიდეც გიორგის ნათქვამმა. ძნელად მოიძებნება გავაზში მასავით გამრჯე და ბეჯითი კაცი. ჯან-ღონეც ძვალებურად მოსდევს, თუმცა სამოცწლიან მიჯნას გადაბიჯა და პენსიონერია. როდესაც ჩავეძიეთ, მე ჩემი კალო უკვე გავლეწე და ახალგაზრდობას ვუთმობ გზასო, — გვითხრა. მივხვდით, რომ გიორგიმ ამით კაცური კაცობის კიდევ ერთი გაკვეთილი ჩაგვიტარა. საქმე ის არის, რომ საფეხურეო ანგარიშზე გადასვლასთან დაკავშირებით სოფელში ოთხი ახალგაზრდა აგრონომი დაგეგზავნა დაუსაქმებელი. ჰოდა, გიორგი ამ გადაწყვეტილებით ერთ-ერთ მათგანს ადგილს უთავისუფლებდა...

ზოგს რომ ჰკითხო, იტყვის, ამ სამ წელიწადში სოფელად არაფერი შეცვლილა, მაგრამ თუ კარგად დავფიქრდებით, იოლად შეგვიძლია, რომ ჩვენ ირგვლივ მეტად საგულისხმო მოვლენები ხდება. ცხოვრების დემოკრატიზაციამ და საჯაროობამ სოფელსაც დაატყო ხელი. მე მხოლოდ ამას არ ვგულისხმობ, რომ დღეს, როგორც ბევრგან, კვაბის კოლმეურნეობაშიც ამა თუ იმ თანამდებობაზე მხოლოდ ის ინიშნება, ვისაც ხალხი ინდობავს. ეს თავისთავად მისასალმებელია, მაგრამ უფრო ძნიშნელოვანია სხვა რამ. კერძოდ ის, რომ ადამიანებში სულის ისეთმა თვისებებმა იჩინა თავი, რომელთა არსებობას კი ვგრძნობდით, მაგრამ უძრაობისა და ყოველივე კარგის მიჩუმათების ადრინდელმა წლებმა კინაღამ რომ დაგვიუქვა მათს საჭიროებასა და სარგებლიანობაში.

ერთი სიტყვით, კაცის სინდისნამუსს ჩვენ ყოველდღიურობაში დამსაბურებული ადგილი მიეუფლია. ეს კოლმეურნეობის პარტიულ ორგანიზაციასაც დაეტყო. აქ ნათქვამ სიტყვას მეტი ფასი დაედო, ვინიდან მოირღვა ძველი ზღუდე, რომელიც ორად ყოფდა სამქმეულს: ერთი იყო ის, რასაც ფიქრობდი და მხოლოდ შინაურთა ვიწრო წრეში თუ ეტყოდი, მეორე კი ის, რაც რომელიმე თავმეყრის ტრიბუნიდან უნდა გეთქვა. მოკლედ, ადამიანი გაორებული იყო. ამ სამი წლის წყალობით კი ხალხიც უფრო გულადდი და ლაღი გახდა.

თუმცა აპრილისშემდგომი სამი წელი მარტო ჩვენი კოლმეურნეობისთვის კი არა, როგორც რესპუბლიკის კომუნისტებისა და ყველა მშრომელსადმი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ახლახან გამოქვეყნებულ „საკორეფერენციო ტრიბუნა“: ეე ნომ ლელეგაბი ვიყო...

ჩემი აზრით

ვფიქრობ, საქმისთვის სასარგებლო იქნება სოფლად პარტიული ორგანიზაციების ტერიტორიული გამსხვილება. ტერიტორიულ პარტიულ ორგანიზაციაში, რომელსაც განთავისუფლებული პარტიული კომიტეტის მდივანი უხელმძღვანელებს, პირველადის უფლებით შევალენ კოლმეურნეობის ან საბჭოთა მეურნეობის, სასკოლო, ტერიტორიული და სხვა საწარმო-დაწესებულებების პირველადი პარტიული ორგანიზაციები.

ეს წინადადება ზოგიერთმა შესაძლოა მცდარად მიიჩნიოს, მაგრამ მისი რეალიზაცია, ჩემი აზრით, საგრძნობლად სრულყოფდა პარტორგანიზაციათა პარტიულ-ორგანიზატორულ მუშაობას, აღიკვეთებოდა ერთ ტერიტორიაზე გაფანტული მცირერიცხოვანი პარტიული ორგანიზაციების დაკნესულობა, გაუმჯობესდებოდა. მთლიანი ხელმძღვანელობა და კონტროლი.

ზ. ქარელი,

გორის რაიონის ვარიანის საბჭოთა მეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანი.

საჭიროა კონტროლის ერთიანი სისტემა

რეგიონალ ცნობილია, ნებისმიერი საწარმო-დაწესებულება ი ს პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან ფუნქციონირებენ სხვადასხვა მაკონტროლებელი ორგანოები. ალბათ არ გადავაჭარბებ, თუ ვიტყვი, რომ ძალიან ხშირად მათი მუშაობა ფორმალური ხასიათისაა. ამიტომ, ჩემი აზრით, კარგი იქნება, თუ ყველა ამ მაკონტროლებელ ორგანოს გაერთიანებენ და ერთ სამსახურს დაუქვემდებარებენ. ამით კონტროლი, ხსვას რომ ყველაფერს თავი დავანებო, უფრო მოხალური და ქმედითი გახდება.

ბ. კაპანაძე,

„ჭითურმანგანუ მ ი ს“ საწარმოო გაერთიანების ვ. ი. ლენინის სახელობის მაღაროსსამმართველოს გვირაბგამყვანი, პარტიის ჭითურის საქალაქო კომიტეტის ბიუროს წევრი.

საკავშირო სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის ცნობა

ეკონომიკის გარდაქმნის კურსით

სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1988 წლის პირველი კვარტალის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ

I. სახალხო მეურნეობის განვითარების საერთო-ეკონომიკური მაჩვენებლები

კვეყნის მშრომელებმა 1988 წლის დამდეგიდან უზრუნველყვეს საზოგადოებრივი წარმოებისა და მისი ეფექტიანობის ზრდა, ბალხის კეთილდღეობის გაუმჯობესება. სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების), კანონის ამოქმედებამ, სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე მათი უმრავლესობის გადასვლამ შექმნა დამოუკიდებლობის გაფართოებისა და მათი საქმიანობის შედეგებისათვის პასუხისმგებლობის ზრდის პირობები, გააქტიურა შრომითი კოლექტივების მუშაობა.

ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითად მაჩვენებლებს **1988 წლის პირველ კვარტალში** ახასიათებს შემდეგი მონაცემები (მატება პროცენტობით):

	1988 წლის I კვარტალი 1987 წლის I კვარტალის ფაქტობრივ დონესთან შედარებით
საწარმოო ეროვნული შემოსავალი	4
მრეწველობის პროდუქცია	5,0
ამოქმედდება სახელმწიფო ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა და საწარმოებისა და ორგანიზაციების ძირითადი ფონდების ხარჯზე:	
ძირითადი ფონდები	5,2
საცხოვრებელი სახლები	5
სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებანი ცენტრალიზებული და საწარმოთა და ორგანიზაციათა ფონდების საშუალებათა ხარჯზე	5,2
საერთო სარგებლობის ყველა სახეობის ტრანსპორტის მიერ ტვირთის გადაზიდვის (გაგზავნის) მოცულობა	4,0
საერთო სარგებლობის ყველა სახეობის ტრანსპორტის მგზავრთ-ბრუნვა	4,0
შრომის ნაყოფიერება:	
მრეწველობაში	5,4
მშენებლობაში	10,1
რკინიგზის ტრანსპორტზე	10,1
მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი	0,3
ხელფასის ფონდი სახალხო მეურნეობაში	4,5
მუშა-მოსამსახურეთა საშუალო ფულადი ხელფასი	4,0
კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება	3
მასაცემლები და შეღავათები მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან	5,3
სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვა (ფაქტობრივი ფასებით)	5,6
ფასიანი მომსახურება მოსახლეობისათვის	13,8
საგარეო ვაჭრობის ბრუნვა (ფაქტობრივი ფასებით)	8,2
მოგება სახალხო მეურნეობაში	11,8

საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერება გასული წლის პირველ კვარტალთან შედარებით გაიზარდა 4 პროცენტით, ამის საფუძველზე უზრუნველყოფილია საწარმოო ეროვნული შემოსავლის **მთელი მატება.**

მრეწველობის პროდუქცია გაიზარდა 11 მილიარდი მანეთით, მიღწეულია მისი მოცულობის დასახული მატება.

სახელმწიფო ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებებისა და საწარმოთა და ორგანიზაციათა ძირითადი ფონდების ხარჯზე ამოქმედდა 0,7 მილიარდი მანეთით მეტი ძირითადი ფონდები.

ამასთანავე მთელი რიგი მაჩვენებლების მიხედვით დაშვებულია ჩამორჩენა საგეგმო დავალებათა რეალიზაციაში. ჯერ კიდევ ხდება სამრეწველო პროდუქციის მოწოდებათა მიხედვით სახელშეკრულებო ვალდებულებების დარღვევები. მრავალი სახეობის პროდუქციის მიხედვით მანქანათმაშენებელ კომპლექსს არ შეუსრულებია სახელმწიფო შეკვეთა. გამოშვებულია დასაბულზე ნაკლები სახალხო მოხმარების მთელი რიგი საქონელი. ზოგიერთ რეგიონში შემცირდა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება და შესყიდვა. მთლიანად ვერ შესრულდა საქონელბრუნვის დავალება.

სსრ კავშირის საგარეო-საავაჭრო ბრუნვამ შეადგინა 31,6 მილიარდი მანეთი და 1987 წლის პირველ კვარტალთან შედარებით გაიზარდა 8,2 პროცენტით. სამინისტროთა და უწყებათა წილმა, რომლებსაც მიენჭათ მსოფლიო ბაზარზე პირდაპირი გასვლის უფლება, ექსპორტის საერთო მოცულობაში შეადგინა 18 პროცენტი, იმპორტისა — 30 პროცენტი.

II. საზოგადოებრივი ნარმოების ინტენსიფიკაცია

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი. მოქმედ საწარმოთა ტექნიკურ განახლებასა და რეკონსტრუქციას ხოხმარდა 6,7 მილიარდი მანეთი, ანუ 7 პროცენტით მეტი, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში. ამ მიზნებისათვის კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობიდან ნახევარზე მეტი შეადგინა საწარმოთა და ორგანიზაციათა საკუთარმა სახსრებმა.

(გაგრძელება მე-2 გვ.)

საბჭოთა პარლამენტა-რების ვიზიტი

24 აპრილს მოსკოვიდან ალიანს (ინდონეზია, სინგაპური, ფილიპინები) წევრ ქვეყნებში საგანგებო მისიით გაეგზავნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა ჯგუფი, რომელსაც მეთაურობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ს. გ. ლელაშვილი.

აეროპორტში ჯგუფი გააცილეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ ა. ფ. რიუტელმა და სხვა ოფიციალურმა პირებმა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრანტიანებულება

ამხ. ქ. ა. ჯოჯუბაიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

უანგიკვლ, ნაყოფიერი სამსახურისათვის, რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისათვის ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი, გენერალ-პოლკოვნიკი კონსტანტინე ალექსის ძე ჯოჯუბაია დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი.
1988 წლის 25 აპრილი.

ეკონომიკის გარდაქმნის კურსით

(გაგრძელება)

მრეწველობაში დაიდგა 1,5 ათასამდე მექანიზებული ნაკადური, ავტომატური, როტორული და როტორულ-კონვეიერული ხაზი და 2 ათასზე მეტი რიცხვულ-პროგრამული მართვის ლითონსაჭრელი ჩარხი.

გაუმჯობესდა მთელ რიგ წარმოებათა ტექნიკური დონის მაჩვენებლები (პროცენტობით):

	I კვარტალი	
	1987 წ.	1988 წ.
სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსი		
ელექტროენერგიის მთელ გამომუშავებაში ატომური ელექტროსადგურების მიერ ელექტროენერგიის წარმოების ხვედრითი წილი	11,6	13,6
ნავთობის მოპოვების ხვედრითი წილი ნავთობის საერთო მოპოვებაში შრეების ნავთობუკუგების ზრდის თანამედროვე მეთოდების გამოყენების ხარჯზე	4,7	5,7
მეტალურგიული კომპლექსი		
ხვედრითი წილი ფოლადის საერთო გამოდნობაში:		
ჟანგბად-კონვერტორული და ელექტროფოლადი	46,6	47,2
ნამზადის უწყვეტი ჩამოსხმის მანქანებიდან მიღებული ფოლადი	15,6	16,6
ქიმიურ-სატყეო კომპლექსი		
სინთეზური ბოჭკოებისა და ძაფის ხვედრითი წილი ქიმიური ბოჭკოებისა და ძაფის წარმოების საერთო მოცულობაში	58,9	60,5
შემცირებული მასატევადობის გაზეთის ქაღალდის გამოშვების ხვედრითი წილი გაზეთის ქაღალდის წარმოების საერთო მოცულობაში	53,6	60,4
სამშენებლო კომპლექსი		
„მშრალი" ხერხით მიღებული კლინკერისაგან ცემენტის წარმოების ხვედრითი წილი ცემენტის წარმოების საერთო მოცულობაში	15,6	17,1

გაიზარდა სოფლის მეურნეობისათვის ენერგოგაჯერებული ტრაქტორების, სხვა საწარმოო ტექნიკის მიწოდება. ამასთანავე მთელი რიგი აგრეგატების საიმედოობა ექსპლოატაციისას არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს.

ათვისებულია და დაიწყო დაახლოებით 800 ახალი სახეობის სამრეწველო პროდუქციის წარმოება.

მანქანათმშენებლობის პროდუქციის განახლებას ახასიათებს შემდეგი მონაცემები.

	სსრ კავშირში პირველად ათვისებული პროდუქციის ხვედრითი წილი სასაქონლო პროდუქციის მოცულობაში (პროცენტობით)		
	1988 წლის გეგმა	1988 წლის I კვარტალი ფაქტობრივად	1987 წლის I კვარტალი ფაქტობრივად
მანქანათსაშენებელი კომპლექსი	9,2	7,0	2,5
სსრ კავშირის მძიმე, ენერგეტიკული და სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის სამინისტრო	12,7	10,6	3,0
სსრ კავშირის ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტრო	10,0	6,8	2,6
სსრ კავშირის ქიმიური მანქანათმშენებლობის სამინისტრო	14,6	13,6	4,8
სსრ კავშირის ჩარხსაშენებელი და საინსტრუმენტო მრეწველობის სამინისტრო	8,5	8,3	3,4
სსრ კავშირის ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციის საშუალებათა და მართვის სისტემათა სამინისტრო	8,6	7,8	3,1
სსრ კავშირის საავტომობილო მრეწველობის სამინისტრო	8,0	3,9	1,9
სსრ კავშირის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტრო	7,9	6,1	2,3
სსრ კავშირის სამშენებლო, საგზაო და კომუნალური მანქანათმშენებლობის სამინისტრო	6,5	8,1	0,4

საწარმოთა სახელმწიფო შეკვეთაში შეტანილი ახალი ტექნიკის მიწოდების პირველი კვარტალის გეგმები შესრულდა 86 პროცენტით. პროდუქციის მიწოდება დააკლეს სსრ კავშირის ფერადი მეტალურგიის სამინისტროს, სსრ კავშირის ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციის საშუალებათა და მართვის სისტემათა სამინისტროს, სსრ კავშირის სამედიცინო და მიკრობიოლოგიური მრეწველობის სამინისტროს საწარმოებმა.

ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის 2000 წლამდე კომპლექსური პროგრამის რეალიზაციის მსვლელობაში გააქტიურდა კავშირურთიერთობა სოციალისტურ ქვეყნებთან, შეიქმნა 60 ერთობლივი კოლექტივი, ლაბორატორია, სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება და საერთაშორისო ორგანიზაცია. მაგრამ კომპლექსური ავტომატიზაციის და საწარმოო პროცესების ელექტრონიზაციის საშუალებათა შემუშავებისა და გამოშვების ათვისების ცალკეული დავალებანი არ სრულდება. სსრ კავშირის ჩარხსაშენებელი და საინსტრუმენტო მრეწველობის სამინისტროს საწარმოებს არ დაუწყიათ სახარატო-კარუსელური ჩარხების, სახარატო მრავალშპინდელიანი ვერტიკალური ნახევრად ავტომატების ახალი მოდელების დამზადება.

გრძელდებოდა პროდუქციის მიწოდება დარგთშორისი სამეცნიერო-ტექნიკური კომპლექსების ნამუშევართა მიხედვით, მათ შორის ფხვნილოვანი მასალების ანტიფრიქციული ნაწარმისა ნავთობისა და გაზის მრეწველობისათვის (სსრ კავშირის ქიმიური მანქანათმშენებლობის სამინისტრო), ლაზერული რეფრაქტომეტრიული დეტექტორებიანი თხევადი ქრომატოგრაფებისა (სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია).

მთლიანად ვერ იყენებენ კაპიტალურ დაბანდებებს საცდელ-ექსპერიმენტული ბაზების, ლაბორატორიულ-საცდელი ცენტრებისა და დარგთშორის სამეცნიერო-ტექნიკურ კომპლექსებში შემავალი სხვა ობიექტების მშენებლობისათვის.

პროდუქციის ხარისხი. 1988 წლის იანვრიდან მრეწველობის გაერთიანებათა და საწარმოთა წრე, სადაც პროდუქციის სახელმწიფო მიღებაა შემოღებული, 2,2 ათასამდე გაფართოვდა. მარტში სახელმწიფო მიღებამ პირველი წარდგენით არ მიიღო 1,3 მილიარდი მანეთის პროდუქციის 8 პროცენტი; წლის დამდეგიდან განვლილ პერიოდში საბოლოოდ დაწუნებულია 18 მილიონი მანეთის პროდუქცია. პირველი წარდგენით მიუღებელი ნაწარმის განსაკუთრებით დიდი ხვედრითი წილი მოდის სსრ კავშირის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტროს, სსრ კავშირის ჩარხთსაშენებელი მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის საავტომობილო მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის სამშენებლო, საგზაო და კომუნალური მანქანათმშენებლობის სამინისტროს საწარმოებზე.

საწარმოო პოტენციალის გამოყენება. მრავალცვლიანი რეჟიმის მუშაობის საამქროებში მუშათა რაოდენობა შარშანდელთან შედარებით 320 ათასით, ანუ 2,5 პროცენტით გაიზარდა. გამოთავისუფლებულია 112 ათასამდე ერთეული მოწყობილობა, 1,4 მილიონი კვადრატული მეტრი საწარმოო ფართობი, რომელთაგან ნახევარზე მეტი გამოყენებულია პროგრესული მოწყობილობის დასადგმელად, მესამედი — შრომის პირობების გაუმჯობესებისა და სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების ორგანიზაციისათვის.

საერთოდ მუშაობის მრავალცვლიან რეჟიმზე საწარმოთა გადასვლისათვის მუშაობა ნელა მიმდინარეობს. ძირეულ გარდატეხას ვერ მიაღწიეს მოწყობილობის გამოყენებაში, კვლავ დაბალია მისი მუშაობის ცვლიანობის კოეფიციენტი, დიდია მოცდენა.

კვლავ სერიოზული ნაკლოვანებანია ახლად დანერგილ და რეკონსტრუირებულ სიმძლავრეთა ათვისებაში.

რესურსდაზოგვა. სახალხო მეურნეობაში დაიზოგა 5 მილიონ ტონამდე პირობითი სათბობი, 0,5 მილიონი ტონა შავი ლითონების ნაგლინი, იყენებენ 40 მილიონამდე გიგაკალორია მეორეულ თბორესურსებს.

ქვანახშირითა და გაზით მომხმარებლების უზრუნველყოფა, ელექტრო- და თბოენერგიის მიწოდება, სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სამინისტროს თბოელექტროსადგურების სათბობით მომარაგება დადგენილი ლიმიტების ფარგლებში ხორციელდებოდა.

შრომითი რესურსების გამოყენება. სახალხო მეურნეობაში დასაქმებულია 128,4 მილიონი მუშა, მოსამსახურე და კოლმეურნე (შარშან პირველ კვარტალში — 128,1 მილიონი კაცი). საწარმოო დარგებში **შესამჩნევად დაჩქარდა მუშახელის რეალური გამოთავისუფლების პროცესი:** მრეწველობაში, ტრანსპორტზე და მშენებლობაში მომუშავეთა რიცხვი პირველ კვარტალში 0,4 მილიონით შემცირდა. გამოთავისუფლებული მუშაკები სამუშაოდ ეწყობიან სხვა ორგანიზაციებსა და დარგებში, მათ შორის მოსახლეობის მომსახურების სფეროში, სადაც გაიგზავნა მუშახელის მთელი მატება.

ამჟამად ატესტაცია გაიარა ყველა სამუშაო ადგილის 70 პროცენტზე მეტმა. მაგრამ გაწეული მუშაობის შედეგების მიხედვით დასახული ღონისძიებანი ნელი ტემპით ხორციელდება: ყოველწლიურად რაციონალიზირდება მხოლოდ ყოველი მეთექვსმეტე სამუშაო ადგილი; როგორც თანამედროვე მოთხოვნებისადმი შეუსაბამო უქმდება 2 პროცენტზე ნაკლები.

პირველ კვარტალში კოოპერატივებში მუშაობდა 0,2 მილიონი კაცი (შარშან პირველ კვარტალში — 15 ათასი). ინდივიდუალურ შრომითს საქმიანობას ეწევა 0,4 მილიონი მოქალაქე.

მართვისა და სამეურნეო მექანიზმის სრულყოფა. 1988 წლის იანვრიდან დაწყებული სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პირობებში მუშაობს 76 ათასზე მეტი გაერთიანება, საწარმო, კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა, ორგანიზაცია, რომლებშიც დასაქმებულია 51 მილიონამდე კაცი. მათ წილად მოდის სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების 60 პროცენტზე მეტი, კავშირგაბმულობის საწარმოთა მომსახურების 100 პროცენტი, საცალო საქონელბრუნვის 97 პროცენტი, საიჯარო სამუშაოთა მოცულობის 37 პროცენტი. თვითდაფინანსების პირობებში საქმიანობენ წელს მოსახლეობის სატრანსპორტო მომსახურების 88 პროცენტი და საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა ნახევარზე მეტი.

პირველ კვარტალში პროდუქციის მიწოდების სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულებამ სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პირობებში მომუშავე სამრეწველო გაერთიანებებსა და საწარმოებში 99,3 პროცენტი შეადგინა, რაც რამდენადმე უკეთესია, ვიდრე დანარჩენ საწარმოებში. შრომის ნაყოფიერების ზრდა ამ პერიოდში (6,6 პროცენტი) გაცილებით მეტია, ვიდრე დარგის სხვა საწარმოებში (4,2 პროცენტი).

ამავე დროს ახალი სამეურნეო მექანიზმის შესაძლებლობანი ჯერ კიდევ საკმაოდ სრულად არ გამოიყენება. არის ფაქტები, როცა დავალებები ეძლევათ სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ სსრ კავშირის კანონის დარღვევით. საწარმოთა ინიციატივას ბოჭავს მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფაში არსებული ნაკლოვანებანი. ბევრი სამინისტრო ჯეროვან პრაქტიკულ დახმარებას ვერ უწევს საწარმოებს ახალ პირობებში მუშაობის, შიდასაწარმოო სამეურნეო ანგარიშის დანერგვის საქმეში. სამეურნეო ანგარიშის მოთხოვნებისათვის მოუმზადებელი აღმოჩნდნენ ბევრი საწარმოს კადრები.

III. მატერიალური წარმოების განვითარება

მრეწველობა

პირველ კვარტალში გაუმჯობესდა სახელმწიფო შეკვეთის შესაბამისად და მომხმარებლებთან ხელშეკრულებათა საფუძველზე პირდაპირი კავშირით პროდუქციის მიწოდების **სახელშეკრულებო ვალდებულებანი.** ვალდებულებები შესრულდა 99,2 პროცენტით 1987 წლის პირველი კვარტალის 97,8 პროცენტთან შედარებით და საერთოდ შარშანდელ 98,3 პროცენტთან შედარებით. სახელშეკრულებო დისციპლინა დაარღვია გაერთიანებათა და საწარმოთა 11 პროცენტმა (1987 წლის პირველ კვარტალში — 20 პროცენტმა, 1987 წელს — 23 პროცენტმა). სახელმწიფოს დააკლდა 1,5 მილიარდი მანეთის პროდუქცია (1987 წლის პირველ კვარტალში — 3,8 მილიარდი მანეთისა).

მრეწველობის პროდუქციის წარმოება გაიზარდა 5,0 პროცენტით. **შრომის ნაყოფიერების** ზრდამ შეადგინა 5,4 პროცენტი. პროდუქციის მთელი მატება უზრუნველყოფილია შრომის ნაყოფიერების გადიდების ხარჯზე მუშაკთა რიცხვის აბსოლუტური შემცირების პირობებში.

გაიზარდა **მოგება.** მოგების გეგმის შესრულებას მიაღწიეს მთლიანად დარგში და ყველა მისმა კომპლექსმა, გარდა მანქანათსაშენებლისა.

სახალხო-სამეურნეო **კომპლექსების, სამინისტროების, უწყებების** საქმიანობას 1988 წლის პირველ კვარტალში ახასიათებს შემდეგი მაჩვენებლები (პროცენტობით):

	პროდუქციის მიწოდების სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულება	იმ საწარმოთა წილი, რომლებმაც ვერ შეასრულეს სახელშეკრულებო ვალდებულებები	მატების ტემპი 1987 წლის I კვარტალთან შედარ.	
			შრომის ნაყოფიერება	პროდუქციის (სამუშაოთა, მომსახურების) მოცულობა
სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსი	99,6	20	5,4	3,8
სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სამინისტრო	98,1	35	2,7	0,9
სსრ კავშირის ნავთობის მრეწველობის სამინისტრო	99,8	14	5,7	2,1
სსრ კავშირის გაზის მრეწველობის სამინისტრო	100	—	11,8	10,3
სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტრო	99,5	25	6,3	5,5
მეტალურგიული კომპლექსი	99,4	18	6,8	4,1
სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტრო	99,3	24	7,9	5,0
სსრ კავშირის ფერადი მეტალურგიის სამინისტრო	99,8	11	4,8	2,5
მანქანათსაშენებელი კომპლექსი	98,8	33	8,5	7,3
სსრ კავშირის მძიმე და სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის სამინისტრო	98,6	52	9,5	8,6
სსრ კავშირის ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტრო	97,6	46	10,8	9,5
სსრ კავშირის ქიმიური მანქანათმშენებლობის სამინისტრო	98,4	33	10,7	10,9
სსრ კავშირის ჩარხთსაშენებელი მრეწველობის სამინისტრო	98,7	30	5,2	4,5
სსრ კავშირის ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციის საშუალებათა და მართვის სისტემათა სამინისტრო	98,7	23	12,0	9,7
სსრ კავშირის საავტომობილო მრეწველობის სამინისტრო	99,5	30	6,0	4,9
სსრ კავშირის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტრო	99,2	25	6,7	5,3
სსრ კავშირის სამშენებლო, საგზაო და კომუნალური მანქანათმშენებლობის სამინისტრო	98,9	48	13,0	12,2
ქიმიურ-სატყეო კომპლექსი	99,0	28	7,6	5,2
სსრ კავშირის ნავთობ-ქიმიური მრეწველობის სამინისტრო	99,4	27	11,9	4,1
სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სამინისტრო	98,3	29	10,6	8,5
სსრ კავშირის მინერალური სასუქების წარმოების სამინისტრო	99,1	13	5,7	3,7
სსრ კავშირის სამედიცინო და მიკრობიოლოგიური მრეწველობის სამინისტრო	99,6	9	6,9	5,9
სსრ კავშირის სატყეო მრეწველობის სამინისტრო	98,7	34	7,9	5,0
აგროსამრეწველო კომპლექსი	99,4	6	3,4	2,6
სსრ კავშირის სახაგრომრეწვი	99,8	7	3,6	2,7
სსრ კავშირის თევზის მეურნეობის სამინისტრო	99,6	8	6,1	3,9
სსრ კავშირის პურპროდუქტების სამინისტრო	99,8	4	0,6	1,4
სოციალური კომპლექსი (სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო)	99,3	13	6,8	5,3
სამშენებლო კომპლექსი (სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო)	99,3	13	8,1	5,5

* ელექტროენერგეტიკის საწარმოების გარდა

1988 წლის პირველ კვარტალში მრეწველობის მუშაობის შესახებ მონაცემები **მოკავშირე რესპუბლიკების მიხედვით** (საკავშირო დაქვემდებარების მრეწველობის ჩათვლით) მოყვანილია ქვემოთ (პროცენტობით):

	პროდუქციის მიწოდების სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულება	იმ საწარმოთა წილი, რომლებმაც ვერ შეასრულეს სახელშეკრულებო ვალდებულებები	მატების ტემპი 1987 წლის I კვარტალთან შედარ.	
			შრომის ნაყოფიერება	პროდუქციის (სამუშაოთა, მომსახურების) მოცულობა
რუსეთის სფსრ	99,1	12	6,2	4,7
უკრაინის სსრ	99,2	9	6,4	5,6
ბელორუსიის სსრ	99,9	3	6,9	7,2
უზბეკეთის სსრ	99,1	11	—1,3	—0,1
ყაზახეთის სსრ	99,5	8	5,3	4,8
საქართველოს სსრ	99,2	11	4,9	3,8
აზერბაიჯანის სსრ	99,2	15	4,3	4,0
ლიტვის სსრ	99,9	2	5,2	4,3
მოლდავეთის სსრ	99,4	8	5,4	4,9
ლატვიის სსრ	99,3	5	10,0	7,4
ყირგიზეთის სსრ	99,2	10	8,4	8,2
ტაჯიკეთის სსრ	99,2	16	6,6	7,7
სომხეთის სსრ	98,5	17	4,1	4,3
თურქმენეთის სსრ	98,9	10	4,7	3,8
ესტონეთის სსრ	99,7	5	5,6	3,5

1988 წლის პირველ კვარტალში სახალხო-სამეურნეო კომპლექსების მუშაობას ახასიათებს შემდეგი მონაცემები:

სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსი

	ფაქტობრივად 1988 წ. I კვარტალში	დავალების შესრულების პროცენტი	1988 წ. I კვარტალი პროცენტობით 1987 წლის I კვარტალთან შედარებით
ელექტროენერგია, მილიარდი კილოვატსაათი	468	100,9	103
ნავთობი (მათ შორის გაზის კონდენსატი), მილიონი ტონა	156	101	102
გაზი, მილიარდი კუბური მეტრი	197	103	108
ქვანახშირი, მილიონი ტონა	202	104	103

დადგენილ დავალებათა გადაჭარბებით მოპოვებულია 2 მილიონი ტონა ნავთობი, მათ შორის გაზის კონდენსატი, 5,5 მილიარდი კუბური მეტრი გაზი და 7,5 მილიონი ტონა ქვანახშირი, მათ შორის საკოქსე ქვანახშირი — 3 მილიონი ტონა. ამავე დროს კომპლექსის მთელმა რიგმა გაერთიანებებმა და საწარმოებმა თავი ვერ გაართვეს სათბობ-ენერგეტიკული რესურსების მოპოვების დადგენილ დავალებებს, რამაც ხელი შეუშალათ მთლიანად შეესრულებინათ სახელშეკრულებო ვალდებულებანი. მათ შორის არიან სსრ კავშირის ნავთობის მრეწველობის სამინისტროს „სტავროპოლნავთობგაზისა" და „აზნავთობის", სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს „სტახანოვქვანახშირის" საწარმოო გაერთიანებები. მთლიანად კომპლექსში უკმარმიწოდებულია 49 მილიონი მანეთის პროდუქცია, მათ შორის სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს საწარმოებმა მომხმარებელს დააკლეს 27 მილიონი მანეთის პროდუქცია.

მეტალურგიული კომპლექსი

	ფაქტობრივად 1988 წ. I კვარტალში	დავალების შესრულების პროცენტი	1988 წ. I კვარტალი პროცენტობით 1987 წლის I კვარტალთან შედარებით
ფოლადი, მილიონი ტონა	41,0	101	102
შავი ლითონების ნაგლინი (მზა), მილიონი ტონა	29,1	101	104
ფოლადის მილები, მილიონი ტონა	5,1	101	105
რკინის მადანი, მილიონი ტონა	62,5	102	102

შესრულდა მზა ნაგლინისა და ფოლადის მილების გამოშვების სახელმწიფო შეკვეთა. მაგრამ, დავალებებით გათვალისწინებულზე ნაკლებია წარმოებული ისეთ მაღალეფექტიან სახეობათა ლითონის პროდუქცია, როგორიცაა დაბალლეგირებული ფოლადის ნაგლინი, ცივად გლინული ფურცელი, სატუმბ-კომპრესორული ზემტკიცე მილები, მთელი რიგი სხვა პროდუქცია.

ამის შედეგად მთლიანად ვერ შესრულდა მომხმარებელთა წინაშე ნაკისრი სახელშეკრულებო ვალდებულებანი. უმეტესი უკმარმიწოდება დაუშვეს მაკეევკის მეტალურგიულმა კომბინატმა (სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულებამ შეადგინა 92,1 პროცენტი), „ზაპოროჟფოლადის" კომბინატმა (94,8 პროცენტი); უზბეკეთის მეტალურგიულმა ქარხანამ (95,9 პროცენტი), „დნეპროსპეცფოლადმა" (93 პროცენტი).

ფერადი მეტალურგიის საწარმოებმაც შეასრულეს დავალებანი სახელმწიფო შეკვეთის ნომენკლატურის ყველა ძირითად სახეობათა პროდუქციის მიხედვით.

მთლიანად მეტალურგიულ კომპლექსში წლის დამდეგიდან უკმარმიწოდებულია 108 მილიონი მანეთის პროდუქცია.

მანქანათსაშენებელი კომპლექსი

	ფაქტობრივად 1988 წ. I კვარტალში	დავალების შესრულების პროცენტი	1988 წ. I კვარტალი პროცენტობით 1987 წლის I კვარტალთან შედარებით
ტურბინის გენერატორები, მილიონი კილოვატი	3,6	100,9	154
მსხვილი ელექტრომანქანები, ათასი ცალი	6,3	94	103
სპეციალური, სპეციალიზებული და აგრეგატული ლითონსაჭრელი ჩარხები, ათასი ცალი	12,4	104	97
რიცხვულ-პროგრამული მართვის ლითონსაჭრელი ჩარხები, ათასი ცალი	5,3	108	102
რიცხვულ-პროგრამული მართვის სამჭედლო-საწნეხი მანქანები, ცალი	446	118	117
ხელსაწყოები, ავტომატიზაციის საშუალებები და მათი სათადარიგო ნაწილები, მილიარდი მანეთისა	1,3	102	108
სამედიცინო ტექნიკა და მისი სათადარიგო ნაწილები, მილიონი მანეთისა	237	107	111
გამოთვლითი ტექნიკის საშუალებები და მათი სათადარიგო ნაწილები, მილიარდი მანეთისა	1,4	106	116
საგლინავი მოწყობილობა, მილიონი მანეთისა	59,1	95	131
ნავთობაპარატურა, მილიონი მანეთისა	70,1	99,1	113
ქიმიური მოწყობილობა და მისი სათადარიგო ნაწილები, მილიონი მანეთისა	260	98	111
ტრაქტორები, მილიონი ცხენის ძალისა	13,5	99	100,9
სასოფლო-სამეურნეო მანქანები, მილიარდი მანეთისა	1,0	99,2	101
მეცხოველეობისა და საკვებწარმოების მანქანები და მოწყობილობა, მილიონი მანეთისა	731	100	106
ექსკავატორები, ათასი ცალი	10,7	99,4	108

რამდენადმე გაუმჯობესდა მანქანათსაშენებელი კომპლექსის მუშაობა — გაიზარდა სახელშეკრულებო დისციპლინის დონე, გასული წლის პირველ კვარტალთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა ლითონდამმუშავებელი და ენერგეტიკული მოწყობილობის, გამოთვლითი ტექნიკის საშუალებათა, მთელი რიგი სხვა პროდუქციის გამოშვება.

ამავე დროს მრავალი პოზიციის მიხედვით სახელმწიფო შეკვეთის დავალება არ შესრულებულა, მთლიანად კომპლექსში დაკლებული პროდუქციის მოცულობამ შეადგინა 236 მილიონი მანეთი.

არ შესრულებულა საგლინი მოწყობილობის, „ცვლადი" დენის ელექტროძრავების, დიდი ელექტრომანქანების, რამდენიმე სახეობის კაბელის, ქიმიური და ნავთობსარეწი მოწყობილობის მიწოდების დავალებანი.

ბევრი დააკლეს შემკვეთებს სსრ კავშირის ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტროს საწარმოო გაერთიანებებმა „მუაასაკაბელმა" (სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულებამ შეადგინა 90,5 პროცენტი), „ხარკოვის ელექტრომექანიკურმა ქარხანამ" (92,9 პროცენტი), „მინუსინსკის ელექტროტექნიკურმა სამრეწველო კომპლექსმა" (84,6 პროცენტი), სსრ კავშირის ქიმიური და ნავთობის მანქანათმშენებლობის სამინისტროს საწარმოო გაერთიანება „კურგანარმქიმმანქანამ" (90,6 პროცენტი), სსრ კავშირის სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტროს „ალტაის სატრაქტორო ქარხანამ" (94,8 პროცენტი), საწარმოო გაერთიანება „ბელოცერკოვსკის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ქარხანამ" (91,9 პროცენტი).

მანქანათმშენებლობის საწარმოებმა დროულად ვერ უზრუნველყვეს მაკომპლექტებელი ნაწარმის ურთიერთმიწოდება. ცალკეულ სახეობათა პროდუქციის წარმოების თვიური მოცულობის 40 პროცენტზე მეტი მოდიოდა თვის ბოლო სამუშაო დღეებზე.

ქიმიურ-სატყეო კომპლექსი

	ფაქტობრივად 1988 წ. I კვარტალში	დავალების შესრულების პროცენტი	1988 წ. I კვარტალი პროცენტობით 1987 წლის I კვარტალთან შედარებით
მინერალური სასუქები (მასაზრდოებელ ნივთიერებათა 100 პროცენტზე გადაანგარიშებით), მილიონი ტონა	9,3	102	104
მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებანი (მოქმედი ნივთიერების მიხედვით 100 პროცენტზე გადაანგარიშებით), ათასი ტონა	85,4	102	97
გოგირდმჟავა, მილიონი ტონა	7,6	99,1	105
კაუსტიკური სოდა, ათასი ტონა	845	98	102
ქიმიური ბოჭკო და ძაფი ათასი ტონა	399	103	104
სატვირთო ავტომობილების სალტეები, მილიონი ცალი	7,0	101	104
მსუბუქი ავტომობილების სალტეები, მილიონი ცალი	5,9	103	107
სასოფლო-სამეურნეო მანქანების სალტეები, მილიონი ცალი	3,1	100,3	101
სამკურნალწამლო საშუალებანი, მილიონი მანეთისა	870	100,8	105
საშასალე მერქანი (კოლმეურნეობების მიერ ხე-ტყის დამზადების გარდა), მილიონი ფესტმეტრი	112	102	101
ქაღალდი, მილიონი ტონა	1,6	102	105
აქედან საგაზეთო, მილიარდი კვადრატული მეტრი	9,4	103	105

გაიზარდა პროგრესიული საკონსტრუქციო პლასტიკური მასალების, სინთეზური ბოჭკოებისა და ძაფების, რადიალური კონსტრუქციების სალტეების, მინაპლასტიკების და მათგან დამზადებული ნაწარმის გამოშვება.

ამავე დროს კომპლექსის დარგების მუშაობის შედეგებზე გავლენა იქონია მთელი რიგი საწარმოებისა და გაერთიანებების საქმიანობაში არსებულმა ნაკლოვანებებმა. მაგალითად, სსრ კავშირის მინერალურ სასუქთა წარმოების სამინისტროს ბალაკოვოს ქიმიური ქარხნის მიერ დაშვებულმა ჩამორჩენამ განაპირობა ის, რომ მთლიანად დარგში არ შესრულდა გოგირდმჟავას გამოშვების კვარტალის დავალებანი, სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სამინისტროს ზიმის ქიმიური ქარხნის ჩამორჩენის გამო არ შესრულდა პოლივინილქლორიდის ფისის გამოშვების დავალება, სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სამინისტროს სუმგაითის საწარმოო გაერთიანება „ორგანული სინთეზის" ჩამორჩენის გამო — პოლიეთილენის გამოშვებისა, სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სამინისტროს სიზრანის საწარმოო გაერთიანება „პლასტიკის" ჩამორჩენამ ჩაშალა თერმოპლასტებისაგან დამზადებული მილებისა და მილსადენების დეტალების გამოშვების დავალება, სსრ კავშირის ნავთობგადამამუშავებელი და ნავთობქიმიური მრეწველობის ლენინგრადის საწარმოო გაერთიანება „კრასნი ტრეუგოლნიკისა" და ასტრახანის რეზინის ფეხსაცმლის ქარხნების ჩამორჩენამ კი ჩაშალა რეზინის ფეხსაცმლის გამოშვების დავალება.

სტაბილურად არ მუშაობდნენ ხე-ტყის დამამზადებელი გაერთიანებანი „სვერდლტყემრეწვი", „კრასნოიარსკტყემრეწვი", „ირკუტსკტყემრეწვი", „შორეულაღმტყემრეწვი". ამ გაერთიანებებმა სახალხო მეურნეობას წლის დამდეგიდან დააკლეს დაახლოებით 0,7 მილიონი კუბური მეტრი საშასალე მერქანი.

დაშვებული ჩამორჩენის შედეგად არ შესრულებულა სახელშეკრულებო ვალდებულებანი. მთლიანად კომპლექსის საწარმოებმა მომხმარებელს დააკლეს 269 მილიონი მანეთის პროდუქცია. მომხმარებელთა წინაშე ყველაზე დიდი დავალიანება აქვთ სსრ კავშირის ხე-ტყისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს (94 მილიონი მანეთი), სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სამინისტროსა (85 მილიონი მანეთი) და სსრ კავშირის ნავთობისა და ქიმიური მრეწველობის სამინისტროს (54 მილიონი მანეთი).

სამშენებლო კომპლექსის მრეწველობა

	ფაქტობრივად 1988 წ. I კვარტალში	დავალების შესრულების პროცენტი	1988 წ. I კვარტალი პროცენტობით 1987 წლის I კვარტალთან შედარებით
ცემენტი, მილიონი ტონა	34,4	102	103
აზბესტცემენტის ფურცლები (შიფერი), მილიარდი პირობითი ფილა	2,2	100,4	99,7
აზბესტცემენტის მილები და ქუროები, ათასი კილომეტრი პირობითი მილი	20,6	102	102
რბილი სახურავე მასალა და იზოლი, მილიონი კვადრატული მეტრი	506	99,5	100,8
სამშენებლო მინა, მილიონი კვადრატული მეტრი	72,8	100,8	101

პირველი კვარტალის დავალებათა გადაჭარბებით გამოშვებულია 600 ათას ტონაზე მეტი ცემენტი, დაახლოებით 9 მილიონი პირობითი ფილა აზბესტ-ცემენტის ფურცლები (შიფერი), 564 ათასი კვადრატული მეტრი სამშენებლო მინა. შესრულებულია ასაწყობი რკინა-ბეტონის კონსტრუქციებისა და ნაწარმის, საკედლე მასალის, ცალკეულ სახეობათა სანიტარიულ-ტექნიკური მოწყობილობის გამოშვების პირველი კვარტალის დავალებანი.

მთლიანად ვერ შესრულდა რბილი სახურავე მასალებისა და იზოლის წარმოება პაპის კომბინატ „უზბეკეთბურულის" (უზბეკეთის სსრ) და გარდაბნის მუყაო-რუბეროიდის ქარხნის (საქართველოს სსრ) მიერ დაშვებული ჩამორჩენის გამო.

საერთოდ წლის დამდეგიდან საშენ მასალათა ინდუსტრიის საწარმოებმა დადებულ ხელშეკრულებებს დააკლეს 23 მილიონი მანეთის პროდუქცია.

არასასურსათო **სახალხო მოხმარების საქონლის** წარმოების დავალებათა შესრულებას ახასიათებს შემდეგი მონაცემები:

	ფაქტობრივად 1988 წ. I კვარტალში	დავალების შესრულების პროცენტი	1988 წ. I კვარტალი პროცენტობით 1987 წლის I კვარტალთან შედარებით
ბამბის ქსოვილები, მილიარდი კვადრატული მეტრი	2,0	100,4	103
სელისა და ქერელ-ჭუთის ქსოვილები, მილიონი კვადრატული მეტრი	251	100,4	102
შალის ქსოვილები, მილიონი კვადრატული მეტრი	182	100,1	104

(დასასრული მე-4 გვ.).

ეკონომიკის გარდაქმნის კურსით

ეროვნული ბიბლიოთეკა

(დასასრული)

აბრეშუმის ქსოვილები, მილიონი კვადრატული მეტრი	536	102	106
ტრიკოტაჟის ნაწარმი, მილიონი ცალი	475	100,2	103
წინდები, მილიონი წყვილი	533	101	105
შეკერილი ნაწარმი, მილიარდი მანეთისა	6,7	105	100,5
ფეხსაცმელი, მილიონი წყვილი	211	100,2	101
ტელევიზორები, მილიონი ცალი			
მათ შორის ფერადი გამოსახულებისა	1,4	102	152
მაცივრები და საყინავები მილიონი ცალი	1,6	100,6	108
რადიომიმღები მოწყობილობა, მილიონი ცალი	2,0	96	103
მაგნიტოფონები, მილიონი ცალი	1,4	97	125
ვიდეომაგნიტოფონები, ათასი ცალი	14,8	102	3-ჯერ
საკერავი მანქანები, ათასი ცალი	394	94	108
მათ შორის „ზიგზაგის“ ტიპისა	252	100,6	110
სარეცხი მანქანები, მილიონი ცალი	1,5	97	111
ელექტრომტვერსასრუტები— მილიონი ცალი	1,2	96	110
ავეჯი, მილიარდი მანეთისა	2,3	101	108
მოტოციკლეტი, ათასი ცალი	254	100,3	111
ველოსიპედები (გარდა საბავშვოსი), მილიონი ცალი	1,4	99,4	103
მსუბუქი ავტომობილები, ათასი ცალი	331	100,3	99,5
საათი, მილიონი ცალი	18,2	101	108
ფაიფურ-ქაშანურისა და მაიოლიკის ჭურჭელი, მილიონი მანეთისა	264	103	107
სორტული ჭურჭელი (მინისა და ბროლისა) მილიონი მანეთისა	251	106	115
შპალერი, მილიონი პირობითი ნაჭერი	140	102	113
ხარისხოვანი ქაღალდის საქონელი, მილიონი მანეთისა	202	104	104
გალვანური ელემენტები და ბატარეები, ელექტროსაყოფაცხოვრებო ნაწარმისათვის, მილიონი ცალი	248	103	106

იანვარ-მარტში სახალხო მოხმარების საქონელი (გარდა ალკოჰოლური სასმელებისა) წარმოებულია 80 მილიარდ მანეთზე მეტი თანხისა საცალო ფასებით, რაც 5 მილიარდი მანეთით მეტია, ვიდრე შარშანდელ შესაბამის პერიოდში.

გაუმჯობესებული სამომხმარებლო თვისებების მქონე, განსაკუთრებით მოდური ნაწარმისა და ახალი საქონლის გამოშვება 1,5-ჯერ და მეტად გაიზარდა.

ამასთანავე სსრ კავშირის მძიმე და სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის სამინისტროს, სსრ კავშირის ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის ქიმიური მანქანათმშენებლობის სამინისტროს, სსრ კავშირის სამშენებლო, საგზაო და კომუნალური მშენებლობის და ზოგიერთი სხვა სამინისტროს საწარმოებმა დაუშვეს ჩამორჩენა დავალებათა შესრულებაში.

მომხმარებლებს დააკლეს 87 ათასი რადიომიმღები მოწყობილობა, 42 ათასი მაგნიტოფონი, 44 ათასი სარეცხი და 26 ათასი საკერავი მანქანა, 44 ათასი ელექტრომტვერსასრუტი.

სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ პირველ კვარტალში სახელმწიფოს დააკლო კონკრეტული ნომენკლატურის 164 მილიონი მანეთის პროდუქცია და საქონელი.

აგროსამრეწველო კომპლექსი

აგროსამრეწველო კომპლექსის სამრეწველო საწარმოებმა შეასრულეს კვების პროდუქტების წარმოების პირველი კვარტალის დავალებანი. მაგრამ კვების პროდუქტებით მოსახლეობის უზრუნველყოფაში ზოგან არსებითი ნაკლოვანებანია.

ძირითად სახეობათა **კვების პროდუქციის** გამოშვებას ახასიათებს შემდეგი მონაცემები:

	ფაქტობრივად 1988 წლის I კვარტალში	დავალების შესრულების პროცენტი	1988 წლის I კვარტალი პროცენტობით 1987 წლის I კვარტალთან შედარებით
ხორცი სახელმწიფო რესურსების ნედლეულიდან, მილიონი ტონა	3,1	108	102
ძეხვეული, ათასი ტონა	955	103	104
კარაქი, ათასი ტონა	287	113	108
მოუხდელი რძის პროდუქცია რძეზე გადაანგარიშებით სახელმწიფო რესურსების ნედლეულიდან, მილიონი ტონა	8,0	104	103
ცხიმიანი ყველი, ათასი ტონა	191	105	105
მარგარინის პროდუქცია, ათასი ტონა	433	101	103
შაქრის ფხვნილი, მილიონი ტონა	1,5	106	111
მცენარეული ზეთი, მილიონი ტონა	0,9	103	105
საკონდიტრო ნაწარმი, მილიონი ტონა	1,3	103	104
კონსერვები, მილიარდი პირობითი ქილა	3,8	107	105
მათ შორის ხილბოსტნეულისა	2,5	108	106
სასურსათო თევზის პროდუქცია, თევზის კონსერვების ჩათვლით, მილიონი ტონა	1,7	112	103

ხორცის წარმოების დავალება ვერ შეასრულეს საქართველოს სსრ და აზერბაიჯანის სსრ სამრეწველო საწარმოებმა, მცენარეული ზეთისა და კარაქისა — ტაჯიკეთის სსრ საწარმოებმა, მოუხდელი რძის პროდუქციისა — აზერბაიჯანის სსრ საწარმოებმა.

სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში პირველ კვარტალში წარმოებულია 5,6 მილიონი ტონა ხორცი (ცოცხალი წონა), ანუ 2 პროცენტით მეტი, ვიდრე გასული წლის პირველ კვარტალში, 17,3 მილიონი ტონა (5 პროცენტით მეტი) რძე, 15,6 მილიარდი ცალი (6 პროცენტით მეტი) კვერცხი, ერთ ძროხაზე რძის საშუალო ნაწველი გაიზარდა 6 პროცენტით, მოქცეულის კვერცხმდებლობა — 5 პროცენტით.

მეცხოველეობის პროდუქტების შესყიდვამ ყველა კატეგორიის მეურნეობებში შეადგინა:

	პირველი კვარტალი		
	1987 წ.	1988 წ.	1988 წელი 3რ. 1987 წ. შედარებით
პირუტყვი და ფრინველი (ცოცხალი წონა), მილიონი ტონა	5,7	5,9	103
რძე, მილიონი ტონა	14,5	15,3	106
კვერცხი, მილიარდი ცალი	14,2	15,0	106

პირუტყვისა და ფრინველის შესყიდვის მოცულობა პირველ კვარტალში შეამცირეს უკრაინის, საქართველოს, მოლდავეთის, ესტონეთის სს რესპუბლიკების მეურნეობებმა; რძისა — ტაჯიკეთის, და სომხეთის სს რესპუბლიკების მეურნეობებმა.

ყველა მოკავშირე რესპუბლიკამ, უკრაინის სს რესპუბლიკის გარდა, უზრუნველყვეს საერთო-საკავშირო ფონდში გეგმის შესაბამისად მეცხოველეობის პროდუქტების მიწოდება. უკრაინის სს რესპუბლიკამ არ შეასრულა ხორცის პროდუქტების გეგმა.

იანვარ-მარტში სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში შესყიდულია 114,3 ათასი ტონა ღია გრუნტის საკვალსათბურე-სასათბურე და სადრეო ბოსტნეული, რაც 12,6 ათასი ტონით, ანუ 10 პროცენტით ნაკლებია გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით. შესყიდულია 1,5 ათასი ტონა პამიდორი, 54,5 ათასი ტონა კიტრი, 0,9 ათასი ტონა კომბოსტო, 52,6 ათასი ტონა მწვანე კულტურები. ბოსტნეულის შესყიდვა შემცირდა ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში, მოლდავეთისა და თურქმენეთის სს რესპუბლიკების გარდა.

მთავრდება ტექნიკის მომზადება **საგაზაფხულო მინდვრის** სამუშაოებისათვის. აპრილის დამდეგისათვის გამართული იყო ტრაქტორების 92 პროცენტი, ტრაქტორის გუთნებისა და კულტივატორების 98 პროცენტი, 99 პროცენტი სათესელა მათი საერთო რაოდენობიდან. მაგრამ საჭირო ტემპით ყველგან როდი მიმდინარეობს ტექნიკის რემონტი და სამუშაოდ მომზადება. ამის შედეგად 1 აპრილისათვის ქვეყნის მეურნეობებში ტექნიკურად გაუმართავი იყო 222 ათასი ტრაქტორი, აქედან 43 ათასი ენერგოგაჯერებული, 203 ათასი სატვირთო ავტომობილი, 234 ათასი ტრაქტორის მისაბმელი. გაუმართავი სატვირთო ავტომობილების პროცენტი მაღალია რუსეთის სფს რესპუბლიკაში, უკრაინისა და მოლდავეთის სს რესპუბლიკებში; ტრაქტორის მისაბმელებისა — რუსეთის სფს რესპუბლიკაში, უკრაინისა და თურქმენეთის სს რესპუბლიკებში; მინერალური სასუქების მომბნევებისა — რუსეთის სფს რესპუბლიკაში, თურქმენეთისა და ესტონეთის სს რესპუბლიკებში; ნიადაგში ორგანული სასუქების შემტანი მანქანებისა — რუსეთის სფს რესპუბლიკაში, ლატვიისა და თურქმენეთის სს რესპუბლიკებში ნელა მიმდინარეობს საკვებასაღები ტექნიკის რემონტი.

შესრულდა ტრაქტორებისა და მეტ წილ სახეობათა ნიადაგის დასამუშავებელი და სათესი მანქანების, მინერალური სასუქებისა და ქიმიური საკვები დანამატების მიწოდების სახელშეკრულებო ვალდებულებანი.

მიწოდებულია 89 ათასი ტრაქტორი, 56 ათასი ტრაქტორის გუთანი, 10 ათასი დისკოებიანი ფარცხი, 55 ათასი ტრაქტორის კულტივატორი, 42 ათასი ტრაქტორის სათესელა, ნიადაგში მინერალური და ორგანული სასუქების შემტანი 27 ათასი მანქანა.

მინერალური სასუქების მიწოდებამ (ყუათიან ნივთიერებათა 100 პროცენტზე გადაანგარიშებით) შეადგინა 7,2 მილიონი ტონა, რაც შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით 153 ათასი ტონით მეტია, ქიმიური საკვები დანამატების მიწოდებამ — 306 ათასი ტონა, ანუ 41 ათასი ტონით მეტი.

ამასთანავე ჩამორჩებოდა აზოტიანი სასუქების ხელშეკრულებებით გათვალისწინებული მიწოდება უზბეკეთის სსრ, ყაზახეთის სსრ, ყირგიზეთის სსრ და სომხეთის სსრ მომხმარებლებისათვის, ფოსფატიანი სასუქებისა — უკრაინის სსრ, საქართველოს სსრ, აზერბაიჯანის სსრ, ყირგიზეთის სსრ და ესტონეთის სსრ მომხმარებლებისათვის; კალიუმიანი სასუქებისა — ყაზახეთის, მოლდავეთის, სომხეთისა და ესტონეთის სს რესპუბლიკების მომხმარებლებისათვის.

საგაზაფხულო თესვას შეუდგნენ 12 მოკავშირე რესპუბლიკის მეურნეობანი 4 აპრილის მდგომარეობით საგაზაფხულო კულტურები დათესილია 3,8 მილიონ ჰექტარზე, მათ შორის მარცვლეული და სამარცვლე პარკოსანი კულტურები — 2,2 მილიონ ჰექტარზე.

აგროსამრეწველო კომპლექსში (წარმოების საშუალებებით სოფლის მეურნეობის უზრუნველმყოფელი დარგების ჩათვლით) დაფინანსების ყველა წყაროს ხარჯზე ათვისებულია 10 მილიარდი მანეთი **კაპიტალური დაბანდებანი,** ანუ დადგენილი ლიმიტის 104 პროცენტი. ამოქმედდა ხილბოსტნეულის კონსერვების, ხორცის საწარმოო სიმძლავრეები; აიგო კარტოფილის, ბოსტნეულისა და ხილის საცავები, მინერალური სასუქების, შხამქიმიკატებისა და კირიანი მასალების შესანახი მექანიზებული საწყობები, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მაგისტრალური წყალსადენები, ელევატორები, წისქვილის და კომბინირებული საკვების საწარმოები.

პირუტყვისა და ფრინველის სულადობა კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სამეურნეობათაშორისო საწარმოებში ერთი წლის მანძილზე შეიცვალა შემდეგნაირად (მილიონი სული):

	1987 წ.	1988 წ.
	1 აპრილისათვის	
მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი	98,2	96,7
მათ შორის ფური	29,2	28,8
ღორი	59,9	58,1
ცხვარი და თხა	134,8	135,7
ფრინველი	785,5	793,7

კაპიტალური მშენებლობა

სახელმწიფო ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებებისა და საწარმოთა და ორგანიზაციათა ფონდების სახსრების ხარჯზე ამოქმედდა 17,3 მილიარდი მანეთის **ძირითადი ფონდები.**

მოქმედთა მწყობრში ჩადგა კრასნოიარსკის მხარის ბერეზოვსკის № 1 სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგური, რიაზანის ოლქში საცდელ-სამრეწველო მაგნიტოჰიდროდინამიკური ენერგობლოკი. საექსპლოატაციოდ გადაეცა კემეროვოს ოლქის „სიბირგინსკის“ ჭრილში ქვანახშირის მომპოვებელი, ვორონეჟის ოლქის როსოშის ქიმიურ ქარხანაში სინთეზური ამიაკის, სარანსკის „ელექტროგამმართველის“ საწარმოო გაერთიანებაში ძალური ნახევარგამტარიანი ხელსაწყოების, სუმის მამძიმებელი და წამყვანი საბურღი მილების ქარხანაში ნავთობსარეწი მოწყობილობის, 3 ათასზე მეტი საექსპლოატაციო ნავთობის ჭაბურღილების, 35 კილოვატი და მეტი ძაბვის 3,3 ათასი კილომეტრი ელექტროგადამცემი ხაზების საწარმოო სიმძლავრეები. გაიზარდა საშენ მასალათა, კონსტრუქციათა და ნაკეთობათა, სახალხო მოხმარების საქონლის საწარმოო სიმძლავრეები.

ათვისებულია 23,2 მილიარდი მანეთი, ანუ ამ პერიოდისათვის დადგენილი ლიმიტის 99,6 პროცენტი სახელმწიფო ცენტრალიზებული **კაპიტალური დაბანდებანი.** საწარმოებმა და ორგანიზაციებმა გამოიყენეს 10,9 მილიარდი მანეთი საკუთარი სახსრები, მათმა წილმა კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობაში შეადგინა 32 პროცენტი, მათ შორის სათბობ-ენერგეტიკულ კომპლექსში — 28 პროცენტი, მეტალურგიულ კომპლექსში — 49, მანქანათსაშენებელ კომპლექსში — 63, ქიმიურ-სატყეო კომპლექსში — 64 პროცენტი.

ლიმიტის გამოყენებას, სახელმწიფო ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებებისა და საწარმოთა და ორგანიზაციათა ფონდების საშუალებების ზრდის ტემპს **კომპლექსების** მიხედვით ახასიათებს შემდეგი მონაცემები:

	I კვარტლის ლიმიტის გამოყენების პროცენტი	1988 წ. I კვარტალი პროცენტობით 1987 წლის I კვარტალთან შედარებით
სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსი	105	113
მეტალურგიული კომპლექსი	99,7	92
მანქანათსაშენებელი კომპლექსი	117	97
ქიმიურ-სატყეო კომპლექსი	98	109
აგროსამრეწველო კომპლექსი	103	108
სამშენებლო კომპლექსი	107	107
სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო	129	125

დაბალ დონეზეა ათვისებული სსრ კავშირის ატომური ენერგეტიკის სამინისტროს, სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის მინერალური სასუქების წარმოების სამინისტროს, სსრ კავშირის სამედიცინო-ბიომრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის აღმოსავლეთმშენის სამინისტროს, სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს კაპიტალურ დაბანდებათა ლიმიტები.

საიჯარო სამუშაოთა მოცულობა, რომლებიც სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციებმა შეასრულეს, გაიზარდა 7 პროცენტით, **შრომის ნაყოფიერება** — 8,9 პროცენტით, სამშენებლო კომპლექსის ორგანიზაციების მიხედვით — შესაბამისად 7 და 9,5 პროცენტით. საიჯარო სამუშაოთა გეგმა მთლიანად სამშენებლო ორგანიზაციათა მიხედვით 104 პროცენტით შესრულდა. სამშენებლო კომპლექსის 31 სამინისტროდან და უწყებიდან საგეგმო დავალებანი ვერ შეასრულა 7 — სსრ კავშირის ურალციმბირმშენის სამინისტრომ, საქართველოს სსრ, მოლდავეთის სსრ, ტაჯიკეთის სსრ, სომხეთის სსრ, თურქმენეთის სსრ მშენებლობის სამინისტროებმა და ყირგიზეთის სსრ საბმშენმა.

ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა

ტვირთის გაგზავნასა და საერთო სარგებლობის ტრანსპორტის **საქონელბრუნვას** ახასიათებს შემდეგი მონაცემები:

	გაგზავნილია ტვირთი		ტვირთბრუნვა	
	1988 წლის I კვარტალი, მილიონი ტონა	1988 წლის I კვარტალი პროცენტობით 1987 წ. I კვარტალთან შედარებით	1988 წ. I კვარტალი, მილიარდი ტონა-კილომეტრი	1988 წ. I კვარტ. პროც. 1987 წ. I კვარტ. შედარებით
ყველა სახეობის ტრანსპორტი	3019	104	1985	108
მათ შორის:				
რკინიგზის	1014	107	971	108
მილსადენი	312	104	720	106
საზღვაო	63	114	258	114
საავტომობილო	1629	102	35	106
საავიაციო	0,7	98	0,8	99

რკინიგზის ტრანსპორტით ტვირთის საერთო გაგზავნის დავალება 105 პროცენტით შესრულდა; საზღვაო ტრანსპორტით საზღვარგარეთის ტვირთზიდვის მიხედვით — 104 პროცენტით.

32 რკინიგზიდან ტვირთის გაგზავნის გეგმას თავი ვერ გაართვა მხოლოდ დასავლეთ ციმბირის რკინიგზამ (98 პროცენტი); 16 საზღვაო სანაოსნოდან საზღვარგარეთის ნაოსნობაში ტვირთზიდვის დავალება ვერ შეასრულეს: ზღვისპირეთისა (88 პროცენტი), მურმანსკისა (91 პროცენტი), სახალინისა (94 პროცენტი). შავი ზღვისა (96 პროცენტი).

საერთო სარგებლობის ყველა სახეობის ტრანსპორტის **მგზავრთბრუნვა** გაიზარდა 4 პროცენტით და შეადგინა 235 მილიარდი მგზავრ-კილომეტრი.

რკინიგზის ტრანსპორტზე მგზავრთბრუნვა გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 4,6 პროცენტით გადიდდა და 81,7 მილიარდი მგზავრ-კილომეტრი შეადგინა. გეგმა 103,9 პროცენტით შესრულდა.

სამოქალაქო ავიაციის მგზავრთბრუნვამ მიაღწია 38,1 მილიარდ მგზავრ-კილომეტრს, ანუ 5,1 პროცენტით მეტს, ვიდრე შარშანდელ იანვარ-მარტში. ამ მაჩვენებლის მიხედვით გეგმა 102, 4 პროცენტით შესრულდა. სამოქალაქო ავიაციის 32 სამმართველოდან და საწარმოო გაერთიანებიდან გეგმა ვერ შეასრულეს აღმოსავლეთ ციმბირის (95 პროცენტი), მაგადანის (96 პროცენტი), იაკუტიის (99,7 პროცენტი), თურქმენეთის (99,9 პროცენტი) სამმართველოებმა, აგრეთვე საერთაშორისო საჰაერო მიმოსვლის ცენტრალურმა სამმართველომ (98 პროცენტი).

გრძელდება მოძრაობის გრაფიკების დარღვევა. აეროპორტებში განრიგით ჩაფრინდა თვითმფრინავების (ადგილობრივის გამოკლებით) მხოლოდ 79 პროცენტი (გასული წლის პირველ კვარტალში — 72 პროცენტი); სადგურებში სამგზავრო მატარებლების (საგარეუბნოს გამოკლებით) — შესაბამისად 89 პროცენტი და 84 პროცენტი.

რკინიგზის ტრანსპორტით ტვირთზიდვაზე დასაქმებულ მუშაკთა შრომის ნაყოფიერებამ დავალებას 9,6 პროცენტით გადააჭარბა და 1987 წლის პირველ კვარტალთან შედარებით 10,1 პროცენტით გადიდდა. რკინიგზის ტრანსპორტზე ტვირთზიდვის თვითღირებულება გეგმასთან შედარებით 3 პროცენტით შემცირდა, მიღებულია 170 მილიონი მანეთი ზეგეგმითი მოგება.

საერთო სარგებლობის ავტობუსებითა და მსუბუქი ტაქსით მგზავრთა გადაყვანის შედეგად მიღებულია 2 მილიარდი მანეთი შემოსავალი (დავალების 102 პროცენტი და გასული წლის შესაბამისი პერიოდის 104 პროცენტი). ამ მაჩვენებლების მიხედვით გეგმა ვერ შეასრულეს აზერბაიჯანის სსრ (97 პროცენტი), ლიტვის სსრ (99 პროცენტი), უზბეკეთის სსრ (99,3 პროცენტი), მოლდავეთის სსრ (99,4 პროცენტი) საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროებმა (საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების სამინისტროებმა).

პირველ კვარტალში მოსახლეობისათვის **კავშირგაბმულობის** მომსახურების რეალიზაციამ შეადგინა 893,5 მილიონი მანეთი, ანუ 9,3 პროცენტით მეტი, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში. გეგმა ამ მაჩვენებლის მიხედვით შესრულდა 100,8 პროცენტით. კავშირგაბმულობის საწარმოთა სატელეფონო ქსელში ძირითადი სატელეფონო აპარატების რიცხვი 1 აპრილისათვის 1988 წლის 1 იანვართან შედარებით გაიზარდა 637 ათასი ცალით.

IV. სოციალური განვითარება და ხალხის ცხოვრების დონის ამაღლება

მოსახლეობის რიცხვმა 1988 წლის 1 აპრილისათვის შეადგინა 285,2 მილიონი.

შრომის ანაზღაურება და მოხმარების საზოგადოებრივი ფონდები. მუშა-მოსამსახურეთა საშუალო-თვიურმა ფულადმა ხელფასმა სახალხო მეურნეობაში 1988 წლის პირველ კვარტალში შეადგინა 210 მანეთი გასული წლის შესაბამისი პერიოდის 202 მანეთთან შედარებით, ანუ გაიზარდა 4 პროცენტით, კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება საზოგადოებრივ მეურნეობაში — შესაბამისად 148 მანეთი 143 მანეთთან შედარებით (ზრდა 3 პროცენტია).

გრძელდება საწარმოო დარგებში შრომის ანაზღაურების ახალ პირობებზე გადაყვანა. ეს პრაქტიკულად დამთავრდა ესტონეთის სს რესპუბლიკაში. სხვა მოკავშირე რესპუბლიკებს ჩამორჩებიან აზერბაიჯანის სსრ, სომხეთის სსრ, მოლდავეთის სსრ, შუა აზიის რესპუბლიკები.

მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან მოსახლეობამ მიიღო 40 მილიარდ მანეთზე მეტი **მისაცემლები და შეღავათები,** რაც 2 მილიარდი მანეთით მეტია, ვიდრე გასული წლის პირველ კვარტალში.

კვლავ იზრდებოდა ათი და მეტი წლის წინათ დანიშნული მუშათა, მოსამსახურეთა და მათი ოჯახთა პენსიები. 1988 წლის 1 იანვრიდან პენსიების მინიმალური ოდენობა გაიზარდათ კოლმეურნეობის წევრებსა და მათ ოჯახებს, რომლებსაც სულ ცოტა ათი წელია უხდიან. ხორციელდებოდა სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების ღონისძიებანი. გაიზარდა ავადმყოფთა კვების, მედიკამენტების, მოწყობილობისა და ინვენტარის შეძენის ხარჯების ნორმები ჯანმრთელობის დაწესებულებებში. შემოღებულია მედიკამენტების უფასო გაცემა 3 წლამდე ასაკის ბავშვთა მკურნალობისათვის და სხვა შეღავათები.

ხორციელდება ობოლი ბავშვებისა და მშობლების მეურვეობის გარეშე დარჩენილი ბავშვების მატერიალური უზრუნველყოფის გაუმჯობესების ღონისძიებანი.

სსრ კავშირის შემნახველი ბანკის დაწესებულებებში მოსახლეობის ანაბრები კვარტალის განმავლობაში 8,1 მილიარდი მანეთით გაიზარდა.

საქონლითა და მომსახურებით მოსახლეობის უზრუნველყოფა. მოსახლეობისათვის სახალხო მოხმარების საქონლისა და ფასიანი მომსახურების რეალიზაცია შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით 6,5 პროცენტით გაიზარდა.

სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის **საცალო საქონელბრუნვის მოცულობამ** 86,5 მილიარდი მანეთი შეადგინა და 1987 წლის პირველი კვარტალის მოცულობის (ფაქტობრივი ფასები) 4,6 მილიარდი მანეთით აღემატებოდა.

საერთოდ ქვეყანაში საქონელბრუნვის საერთო მოცულობის დავალების შესრულებას დააკლდა 527 მილიონი მანეთი. დავალება შეასრულეს ბელორუსიის სსრ, მოლდავეთის სსრ, ყირგიზეთის სსრ, ტაჯიკეთის სსრ და ბალტიისპირეთის რესპუბლიკებმა.

ალკოჰოლიანი სასმელების გაყიდვა დაახლოებით 1987 წლის პირველი კვარტალის დონეზე იყო. ამასთან არაყისა და ლიქიორ-არაყის ნაწარმის რეალიზაცია 4 პროცენტით შემცირდა.

სახელმწიფო და კოოპერაციულ ვაჭრობაში ცალკეული საქონლის გაყიდვას ახასიათებს შემდეგი მონაცემები (შესადარი ფასები; მილიარდი მანეთი):

	გაყიდულია 1988 წლის I კვარტალში	1988 წლის I კვარტალი პროცენტობით 1987 წლის I კვარტალთან შედარებით
ხორცი და ხორცეული	7,2	103
თევზი და თევზეული	1,3	100
კარაქი	1,4	105
მცენარეული ზეთი	0,4	100
მარგარინი	0,4	96
მოუხდელი რძის პროდუქცია	2,2	103
ყველი	0,4	102
კვერცხი	1,3	107
შაქარი	1,7	110
საკონდიტრო ნაწარმი	2,9	104
ჩაი	0,5	105
პურპროდუქტები, მილიონი ტონა	9,2	98
კარტოფილი, მილიონი ტონა	1,9	95
ბოსტნეული, მილიონი ტონა	1,7	98
ხილი და ციტრუსები, მილიონი ტონა	0,8	76
უალკოჰოლო სასმელები; მილიონი დეკალიტრი	87	121
მინერალური წყლები, მილიონი დეკალიტრი	35	117
ხილისა და ბოსტნეულის წვენები, მილიარდი პირობითი ქილა	1,3	112
თამბაქოს ნაწარმი	1,6	97
ტანსაცმელი, თეთრეული და ქსოვილები	9,6	100
ტრიკოტაჟის ნაწარმი	3,7	99
წინდები	0,9	110
ფეხსაცმელი	3,1	99
ფაიფურ-ქაშანურის, მაიოლიკისა და მინის ჭურჭელი	0,7	107
საპონი და სინთეზური სარეცხი საშუალებანი	0,5	108
ავეჯი	2,2	106
მაცივრები და საყინავები, მილიონი ცალი	1,1	112
მათ შორის 200 კუბური დეკალიტრი და მეტი მოცულობის კამერიანი	0,6	112
სარეცხი მანქანები, მილიონი ცალი	1,4	115
ელექტრომტვერსასრუტები, მილიონი ცალი	1,0	111
საათი, მილიონი ცალი	14,2	107
ფოტოაპარატები, მილიონი ცალი	0,5	102
რადიომიმღები მოწყობილობა, მილიონი ცალი	1,8	96
ტელევიზორები, მილიონი ცალი	2,3	116
მათ შორის ფერადგამოსახულებიანი	1,3	138
მაგნიტოფონები, მილიონი ცალი	1,5	113
სპორტსაქონელი, მილიარდი მანეთისა	0,3	109
ველოსიპედები და მოპედები, მილიონი ცალი	1,1	100
მოტოციკლები და მოტოროლერები, მილიონი ცალი	0,3	108
მსუბუქი ავტომობილები მიმდინარე წარმოების ხარჯზე, ათასი ცალი	175	96
ხე-ტყე, მილიონი კუბური მეტრი	3,9	110
შიფერი, მილიარდი პირობითი ფილა	1,3	128
ავტომობილის ბენზინი, მილიონი ტონა	1,1	130

მიუხედავად იმისა, რომ ვაჭრობაში მეტი შემოდის ხორცის და რძის პროდუქტები, მოსახლეობის მოთხოვნა ამ პროდუქტებზე ვერ კმაყოფილდება.

მთელ რიგ საქალაქო და სასოფლო დასახლებულ პუნქტებში დიდი ხანია მაღაზიებში არ არის კარამელი, კანფეტები, ნამცხვარი, თაფლაკვერი და სხვა საკონდიტრო ნაწარმი. ცალკეულ შემთხვევებში მოსახლეობის მოთხოვნილებებს არ შეესაბამება პურისა და პურ-ფუნთუშეულის ასორტიმენტი და ხარისხი.

დამაკმაყოფილებლად არ მარაგდებოდა მოსახლეობა კარტოფილითა და ხილბოსტნეულით. ჯეროვნად ვერ განავითარეს ხილბოსტნეულით ვაჭრობა ბაზრებში სასოფლო-სამეურნეო საწარმოებმა და სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციებმა. ამის შედეგად კვლავ მატულობს ფასები ქალაქების საკოლმეურნეო ბაზრებში. საერთოდ შარშანდელ პირველ კვარტალთან შედარებით ფასები 8 პროცენტით გაიზარდა, მათ შორის კარტოფილისა — 21, ბოსტნეულისა — 2, ხილისა — 18 პროცენტით.

არ ნელდება დაძაბულობა ტანსაცმლითა და ფეხსაცმლით მოსახლეობის უზრუნველყოფაში. მათი არჩევანი მაღაზიებში შეზღუდულია. გასაყიდად გამოტანილ ნაწარმზე ყოველთვის არ არის მოსახლეობის მოთხოვნა მოძველებული ფასონებისა და არადამაკმაყოფილებელი ხარისხის გამო.

სუსტად წყდება სპორტული და ტურისტული დანიშნულების საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნის უზრუნველყოფის პრობლემა.

ნელა უმჯობესდება საქმის ვითარება მარტივი საოჯახო საქონლის ვაჭრობაში. მთელ რიგ რეგიონებში ორგანიზებული არ არის ბევრი მათგანის წარმოება, რის გამოც უმარტივესი ნაწარმიც კი ხშირად დაშორებული რაიონებიდან შემოაქვთ.

ხე-ტყე და საშენი მასალები ვაჭრობამ მიიღო 1,3-ჯერ მეტი, ვიდრე გასული წლის პირველ კვარტალში, მაგრამ მოსახლეობის მოთხოვნა ამ მასალებზე სრულად ვერ კმაყოფილდება.

მოსახლეობის **ფასიანი მომსახურების მოცულობამ** 13 მილიარდი მანეთი შეადგინა და შარშანდელ იმავე პერიოდთან შედარებით 13,8 პროცენტით გაიზარდა. მათი რეალიზაციის გეგმა შესრულდა.

სათანადოდ ვერ განვითარდა ასეთ მომსახურებათა სფერო საწარმოებში. 46 სამინისტროდან და უწყებიდან, რომლებისთვისაც მომსახურების გაწევა არ წარმოადგენს ძირითად საქმიანობას, მათი რეალიზაციის გეგმა მხოლოდ 12-მა შეასრულა.

ფასიანი მომსახურების მოცულობის ნახევარი საბინაო-კომუნალურ და სატრანსპორტო მომსახურებაზე მოდის და დაახლოებით მეოთხედი — საყოფაცხოვრებო მომსახურებაზე. მოსახლეობას გაეწია 3,2 მილიარდი მანეთის საყოფაცხოვრებო მომსახურება. შარშანდელ ანალოგიურ პერიოდთან შედარებით მისი მოცულობა 12,7 პროცენტით გაიზარდა. გეგმა შესრულდა 101,1 პროცენტით. გეგმას ჩამორჩნენ უზბეკეთის სსრ, აზერბაიჯანის სსრ, ტაჯიკეთის სსრ, სომხეთის სსრ და თურქმენეთის სსრ. საყოფაცხოვრებო მომსახურების რეალიზაციის გეგმა სოფლად 100,8 პროცენტით შესრულდა.

საბინაო და სოციალურ-კულტურული მშენებლობა. საექსპლოატაციოდ გადაეცა 12,9 მილიონი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები, მათ შორის საწარმოთა და ორგანიზაციათა ფონდების სახსრებით — 2,9 მილიონი კვადრატული მეტრი. შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით საცხოვრებელი სახლების საექსპლოატაციოდ გადაცემა 5 პროცენტით გაიზარდა. პირველი კვარტალის გეგმა საერთოდ ქვეყანაში გადაჭარბებით შესრულდა. დავალებანი განაღდებულია ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში, გარდა მოლდავეთის სს რესპუბლიკისა.

ამოქმედდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები 50 ,2 ათასი მოსწავლისათვის, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები — 4,1 ათასი მოსწავლისათვის, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები — 30,1 ათასი ბავშვისათვის. აშენდა 5,7 ათასსაწოლიანი საავადმყოფოები, ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულებანი — ცვლაში 11,7 ათასი პაციენტის მიღებისათვის, კლუბები და კულტურის სახლები — 11,5 ათასი კაცისათვის. შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები საექსპლოატაციოდ გადაეცა 39 პროცენტით მეტი, პროფტექნიკური სასწავლებლები — 72, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები — 37 პროცენტით მეტი, საავადმყოფოები — 2,1-ჯერ, პოლიკლინიკები — 11 პროცენტით მეტი. ასეთი ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემის პირველი კვარტალის გეგმა შესრულდა.

ვერ შესრულდა სკოლების, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების, საავადმყოფოებისა და პოლიკლინიკების საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმები ტაჯიკეთის სს რესპუბლიკაში, კლუბებისა და კულტურის სახლებისა — სომხეთის სსრ, ესტონეთის სსრ და მოლდავეთის სს რესპუბლიკაში.

გარემოს დაცვისათვის მუშაობაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა ყველაზე დაძაბული ეკოლოგიური ვითარების მქონე რეგიონებს, სპეციალურად შექმნილი მთავრობის კომისია ამზადებს ღონისძიებებს არალის ზღვის აუზში წყლის რესურსების რაციონალური გამოყენებისა და დაცვისათვის.

ამასთანავე იყო ჩამორჩენა ბუნების დაცვის ობიექტების მშენებლობაში, მათ შორის ისეთ მსხვილ სამრეწველო საწარმოებში, როგორიც არის ასტრახანის გაზის კომპლექსი. იყო ბუნებადაცვითი კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევები. კერძოდ, წყლის წყაროების ავარიული გაჭუჭყიანება და ჩამდინარე წყლების ერთბაშად გადაგდება მოხდა ალმაათაში, ვოლგოგრადში, კამჩატკის ოლქსა და სხვა რაიონებში. მაკონტროლებელი ორგანოები მუშაობას აწყვეტინებდნენ სსრ კავშირის სამედიცინო და მიკრობიოლოგიური მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის ფერადი მეტალურგიის სამინისტროს, სსრ კავშირის ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის და სხვა სამინისტროების ცალკეულ წარმოებებსა და საწარმოებს, რომლებიც ვერ ასრულებენ ბუნების დაცვის დადგენილ მოთხოვნებს.

ბუნებრივი რესურსების შენარჩუნებისა და გამრავლებისათვის, გარემოს მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის მუშაობის სრულყოფის მიზნით დასახულია ჩვენს ქვეყანაში ბუნების დაცვის საქმის ძირფესვიანი გარდაქმნის ძირითადი მიმართულებანი.

საბჭოთა კავშირის მშრომელები, რომლებმაც სოციალისტური შეჯიბრება გააჩაღეს სკპ XIX საკავშირო კონფერენციის ღირსეული შეხვედრისათვის, ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა განმტკიცონ ეკონომიკის განვითარებაში პირველ კვარტალში მიღწეული დადებითი ძვრები და წარმატებით შეასრულონ მიმდინარე წლის გეგმები.

სსრ კავშირის სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტი

გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ◆ მოვლენა ◆ კომენტარი

„ახალგაზრდა მუშის ფილარმონიის“ პროგრამით

უკვე რამდენიმე წელიწადია დედაქალაქის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთათვის ეწყობა შემეცნიერი ციკლი ღონისძიებებისა, რომელსაც „ახალგაზრდა მუშის ფილარმონია“ ეწოდება. იგი ამ სისტემის სასწავლებლების მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდის გაუმჯობესების ისახავს მიზნად. „ახალგაზრდა მუშის ფილარმონიის“ მსმენელები ამ ხნის მანძილზე შეხვდნენ ლიტერატურის, ხელოვნების, კულტურის მრავალ გამოჩენილ მოღვაწეს, აღიარებულ თეატრალურ და მუსიკალურ კოლექტივს.

და აი, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში კიდევ ერთი ლამაზი საღამო გაიმართა. ამჯერად მომავალ მუშა სპეციალისტთა სტუმარი იყო ცნობილი მწერალი და კინორეჟისორი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი რევაზ თაბუკაშვილი. ახალგაზრდებმა ნახეს მისი ბოლოდროინდელი ნამუშევრები, მოისმინეს მისი შინაარსიანი საუბარი თანამედროვე კულტურისა და ხელოვნების აქტუალურ საკითხებზე.

▼ ▼

პარდისუბნელები არ ხუმრობენ

შევაგროვოთ, გადავარჩინოთ, შემოვუნახოთ ხალხური მარგალიტები მომავალ თაობებს, ასე გადაწყვიტეს ლაგოდეხის რაიონის ვარდისუბნის საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის წრის წევრებმა, რომელსაც მასწავლებელი ელზა ნოზაძე ხელმძღვანელობს. მათი პირველი საღამო ხალხმრავალი იყო. წრის წევრებმა გულმოდგინედ შეკრიბეს რაიონის სოფლებში გავრცელებული სახუმარო გამონათქვამები და მაყურებელს გააცნეს.

ხუმრობის საღამოზე წრის წევრებმა ბევრი საინტერესო სახუმარო გამონათქვამები გააცნეს მაყურებელს.

სახალხო თეატრის საერთაშორისო აღიარება

ამ დღეებში ცენტრალური ტელევიზიის საინფორმაციო პროგრამა „ვრემია“ სიღნაღელთა გასახარად ქ. ჩელიაბინსკიდან გადმოსცა რეპორტაჟი. ეკრანზე აჩვენეს რუსეთის ამ ერთ-ერთ თეატრალურ ქალაქში გამართული ახალგაზრდული თეატრ-სტუდიების ფესტივალის დღიური, რომელიც მთლიანად სიღნაღის სახალხო თეატრის სპექტაკლს „ცა რომ სარკე იყოს“ მიეძღვნა. ნ. დუმბაძის ნაწარმოების კომპოზიცია (ავტორი გურამ ბათიაშვილი) მიხედვით შექმნილმა სპექტაკლმა (რეჟისორი გ. ვაჩაძე) ჩელიაბინსკელ მაყურებელთა და ჟიურის დიდი ინტერესი გამოიწვია.

— ჩელიაბინსკის ფესტივალზე, რომელშიც მონაწილეობდა საბჭოთა კავშირის ათი ახალგაზრდული თეატრალური კოლექტივი, აგრეთვე პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის თეატრ-სტუდიები, — ჩელიაბინსკიდან დაბრუნების შემდეგ თქვა სიღნაღის თეატრის მთავარმა რეჟისორმა გ. ვაჩაძემ, — ჩვენმა კოლექტივმა მთავარი პრიზი, აგრეთვე მაყურებელთა და ჟიურის საერთო აღიარება მოიპოვა.

სიღნაღის სახალხო თეატრს წინ ახალი დიდი გამოცდა ელის: წლეულს, ზაფხულში მონაწილეობას მიიღებს კანადის საერთაშორისო ფესტივალში, ხოლო შემოდგომაზე ჩეხოსლოვაკიაში გაემგზავრება.

„კომუნისტის" ფოტოკონკურსი



ვაჟკაცო, მთაში გაზრდილო!..

დ. იაკობაშვილის ფოტო.

გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ■ მოვლენა ■ კომენტარი

წერილი ლუქსემბურგიდან

შარშან, ოქტომბერში, ილია ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმში მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო ჟურნალ „ნუველ ეროპის" მთავარმა რედაქტორმა, მსოფლიოს პოეტთა ასოციაციის გენერალურმა მდივანმა — მიმო მორინამ, მას იმ დღეებში დაუთვალიერებია ქართველი მხატვრის გურამ პაპინაშვილის სახელოსნო და ძალიან მოსწონებია ქართველი მხატვრის ნამუშევრები.

ახლახან საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტში მოვიდა წერილი, რომელსაც ხელს აწერს მიმო მორინა. აი რას სწერს იგი ქართველ მხატვარს გურამ პაპინაშვილს: „ჩემზე ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა იმ გატაცებამ, რომელიც ჩემს მიმართ გამოიჩინეთ. თქვენ მცირე დროში გამოაქანდაკეთ ჩემი ბიუსტი. მე ძალიან მადლიერი ვარ თქვენი ამ დიდებული ქმნილებისათვის, რომლის ასლს იმედია მივიღებ, მანამდე გთხოვთ გამომიგზავნოთ ამ პორტრეტის ფოტო, რათა ვუჩვენო ჩემს თანამშრომლებსა და მეგობრებს.

განზრახვა მაქვს ჟურნალ „ნუველ ეროპის" ფურცლებზე, რომლის დირექტორიც გახლავართ, გამოვაქვეყნო სტატია თქვენზე როგორც სკულპტორ-პორტრეტისტზე. პიროვნება, ვისაც შეუძლია ამის შესრულება კომპეტენტურად და სრულქმნილი ლიტერატურული ფრანგულით, არის პროფესორი გასტონ ბუაჩიძე — ჩვენი ჟურნალის თანამშრომელი. გირჩევთ მას მიმართოთ".

გურამ პაპინაშვილმა წერილი გააცნო გასტონ ბუაჩიძეს, რომელმაც დაწერა სტატია მხატვარზე და გაუგზავნა ჟურნალ „ნუველ ეროპის" რედაქტორს ბატონ მიმო მორინას.

▼▼

მოსწავლეთა ინტერკლუბის თაოსნობით

ლაგოდეხის რაიონის ინტერკლუბის მუშაობა თანდათან აფართოებს მოქმედების სფეროს. რაიონი მრავალეროვანია. ცხადია, სკოლებშიც სხვადასხვა ეროვნების მოსწავლეები იმაღლებენ ცოდნის დონეს. დიდი ხანია ახლო, კეთილისმყოფელი ურთიერთობა აკავშირებთ უზუნთალისა და მსხალგორის არასრული საშუალო სკოლების პედაგოგებსა და მოსწავლეებს. ამ სკოლების ინტერკლუბების თაოსნობით მოეწყო აზერბაიჯანელ და ქართველ პედაგოგთა და მოსწავლეთა შეხვედრა.

უზუნთალელ და მსხალგორელ მოსწავლეთა შეხვედრა გაგრძელდა აზერბაიჯანული სკოლის სპორტდარბაზში. აქ მოსწავლეებმა წაიკითხეს ქართველ და აზერბაიჯანელ პოეტთა ლექსები. მსხალგორელმა მოსწავლეებმა შეასრულეს აზერბაიჯანული სიმღერები. შემდეგ გაიმართა სპორტული შეჯიბრება, გადაიღეს სამახსოვრო სურათები. გვიან საღამომდე გაგრძელდა ეს შეხვედრა. სულ მალე უზუნთალელებს მსხალგორელები უმასპინძლებენ.

„მოსკვიჩი" ჯილდოდ

შარშან ტყიბულის ზონის მრავალმა ორპირელმა კოლმეურნემ ისახელა თავი დამკვრელურ შრომით ვახტზე. საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ჩაის კრეფის უბადლო ოსტატმა ანგელინა გიორგაძემ, რისთვისაც იგი დაჯილდოვდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელით, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მთავარი კომიტეტის დიპლომით და მსუბუქი ავტომანქანა „მოსკვიჩით".

საკავშირო საპატიო სიგელებით დაჯილდოვდნენ აგრეთვე კოლმეურნეობის ბრიგადირები ზ. ჭიქაბერიძე და მეჩაიე მარგარიტა ქათამაძე, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მთავარი კომიტეტის მიერ ოქროს მედლით დაჯილდოებულია ნოვატორი მეჩაიე გ. გიორგაძე, ვერცხლის მედლით კოლმეურნე დ. მორჩაძე და ბრინჯაოს მედლებით შრომის დამკვრელები თ. მაღლაფერიძე, ლ. მორჩაძე, ნ. ბრეგაძე და მ. ცნობილაძე.

კოლმეურნეები ახლა საპირველმაისო შრომით ვახტზე დგანან და ახალი მიღწევებით ეგებებიან საერთაშორისო სოლიდარობის დღეს.

რუბრიკისათვის გამოყენებულია საქდესის, საქინფორმისა და „კომუნისტის" კორესპონდენტთა მასალები.

უცხოეთში

საქდესი იუწყება
25 აპრილი

◆ **საფრანგეთი**

ვინ იქნება ახალი პრეზიდენტი?

პარიზი. საფრანგეთის პრეზიდენტი ფრანსუა მიტერანი და პრემიერ-მინისტრი ჟაკ შირაკი გავიდნენ პრეზიდენტის არჩევნების მეორე ტურში.

კვირას გამართულ პირველ ტურში მათ მოაგროვეს ყველაზე მეტი ხმა. მათ ორთაბრძოლაში ორი კვირის შემდეგ, 8 მაისს, გამოვლინდება საფრანგეთის ახალი პრეზიდენტი.

◆ **ავსტრია**

კომპარტიის მოთხოვნა

ვენა. ავსტრიის კომუნისტური პარტია მოითხოვს შეიარაღების შემცირებასა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას, სამხედრო ბლოკების თანდათანობით ლიკვიდაციას, სრულიად ევროპის თანამშრომლობის უზრუნველყოფას, ჰელსინკის საბოლოო აქტის დებულებათა განხორციელებას. ეს ნათქვამია ავსტრიის კომპარტიის თავმჯდომარის ფრანც მურის განცხადებაში, რომელიც გაზეთმა „ფოლქსშტიმემ" გამოაქვეყნა.

იგი აღნიშნავს, რომ ავსტრიელი კომუნისტები იბრძვიან ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებაში ქვეყნის შესვლის წინააღმდეგ, რადგან ამას მოჰყვება უმუშევრობის ზრდა, ათიათასობით გლეხური მეურნეობის ლიკვიდაცია.

ამერიკა არჩევნების წინ

რას მოწმობს საზოგადოებრივი აზრი

ნიუ-იორკი. ჟურნალ „ტაიმისათვის" იანკელოვიჩის სამსახურის მიერ მოწყობილი საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის თანახმად, პრეზიდენტის პოსტზე დემოკრატი პრეტენდენტი მაიკლ დუკაკისი, თეთრ სახლს რომ სათავეში ჩაუდგეს, უკეთ გაართმევს თავს ქვეყნის ეკონომიკურ პრობლემებს, ვიდრე რესპუბლიკელი პრეტენდენტი ჯორჯ ბუში. გამოკითხვის მონაწილეთა 50-მა პროცენტმა განაცხადა, რომ ურჩევნიათ მომდევნო პრეზიდენტი იყოს მასაჩუსეტსის შტატის ახლანდელი გუბერნატორი დუკაკისი. მათი აზრით, მას უნარი შესწევს, კერძოდ, სწრაფად გადაჭრას შეერთებული შტატების უზარმაზარი საბიუჯეტო დეფიციტის პრობლემა, აგრეთვე ეფექტიანად ებრძოლოს ნარკომანიას. ვიცე-პრეზიდენტ ბუშს ამ თვალსაზრისით მხარი დაუჭირა 39-მა პროცენტმა.

ამავე დროს გამოკითხვის მონაწილეებს მიაჩნიათ, რომ პრეტენდენტი რესპუბლიკური პარტიისაგან უფრო კომპეტენტურია საგარეო-პოლიტიკურ საკითხებში. მაგალითად, ამერიკელთა 47 პროცენტის აზრით, ბუშს მეტი შანსი აქვს მოაწესრიგოს ახლო აღმოსავლეთის კრიზისი. 33-მა პროცენტმა უპირატესობა მისცა დუკაკისს.

ტელეტაიპის ლენტიდან

⊙ **დამასკო.** ირანის საგარეო საქმეთა მინისტრმა ველაიათიმ უარყო ამერიკის შეერთებული შტატების მტკიცება, რომ ირანი ნაღმავს სპარსეთის ყურის წყლებს, იუწყება სირიის სანას სააგენტო.

⊙ **კაირო.** ორი ახალი სახელი შემატეს კვირას მდინარე იორდანის დასავლეთ ნაპირზე ისრაელმა ოკუპანტებმა თავიანთ მსხვერპლთა ნუსხას. სიონისტ დამპყრობთა ტყვიით დაიღუპნენ ელ-ჰალილის მახლობლად მდებარე სოფელ ბეით-რუშის მცხოვრები აჰმედ ჰასან სალემი და ბეითუმერელი პალესტინელი ქალიშვილი ნაიმა მუჰამედი. ამ დასახლებული პუნქტების ათობით სხვა მცხოვრები დაიჭრა, როცა დამსჯელები შეიჭრნენ ქუჩებში და მოაწყვეს ხოცვა-ჟლეტა.

კულტურული კონტაქტები

შიში, რომელიც არ გამართლდა

არგენტინის პრესა ქართველ მსახიობთა გასტროლების შესახებ

ბუენოს-აირესი. ღრმა შთაბეჭდილებანი მოახდინეს არგენტინის ხელოვნების მოყვარულებზე საქართველოს კინომსახიობთა თეატრ-სტუდიის მსახიობებმა, რომლებიც აქ არიან საგასტროლოდ. მაყურებელთა სამსჯავროზე მათ გამოიტანეს მხოლოდ ერთი სპექტაკლი—მოლიერის „დონ ჟუანი", მაგრამ რა განსაცვიფრებელი წარმატება ხვდა მას წილად!

ჩემს წინაშეა გაზეთის მრავალი ამონაჭერი, ადგილობრივ კრიტიკოსთა აღტაცებული რეცენზიები. აი, მაგალითად, რას წერს გაზეთ „პრენსაში" ხელოვნებათმცოდნე ანა სეოანე: „როცა შარშან ჩვენთან საგასტროლოდ იყო შოთა რუსთაველის სახელობის ქართული აკადემიური თეატრი, რომელმაც გვიჩვენა შექსპირის „რიჩარდ მესამე" და ბრეხტის „კავკასიური ცარცის წრე", ბევრი განაცვიფრა იმ ფაქტმა, რომ ამ კოლექტივმა შეძლო დაეძლია თეატრალურ ხელოვნებაში ერთ-ერთი ყველაზე რთული ბარიერი—ენობრივი ბარიერი. აი რატომ იყო, რომ როგორც კი შევიტყვეთ ქართული თეატრ-სტუდიის გამოსვლის ამბავი, დაუყოვნებლივ გადავწყვიტეთ რადაც უნდა დაგვჯდომოდა მოვხვედრილიყავით „დონ ჟუანზე" მათი შესრულებით".

რეცენზიის დანარჩენი ნაწილი — ეს არის მადლობის სიტყვები ნიჭიერი მსახიობებისა და სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორის მიხეილ თუმანიშვილის მიმართ, რომელმაც ბრწყინვალედ შეძლო თანამედროვე ჟღერადობა მიენიჭებინა რამდენიმე საუკუნის წინათ დაწერილი პიესისათვის.

აი კრიტიკოს ხაიმე პოტენსეს გამონათქვამი დედაქალაქის გაზეთ „ნასიონში". ერთგვარი შიშით მივდიოდი ამ სპექტაკლზე, წერს იგი, რადგან შესანიშნავად მესმოდა, რომ ყურადღება გამახვილებული იქნებოდა დიალოგებზე. მაგრამ მოქმედების დაწყებიდან რამდენიმე წუთის შემდეგ მე, სკეპტიკურად განწყობილმა რეცენზენტმა, უცებ ვიგრძენი, რომ ჩავერთე მსახიობთა ბრწყინვალე თამაშში. თუმცა ენა არ ვიცოდი, რომელზეც სპექტაკლი მიმდინარეობდა, მაგრამ შემიძლია ვთქვა, რომ მე, ისევე როგორც სხვა მაყურებლებს, შესანიშნავად გვესმოდა, რაზე იყო ლაპარაკი, იმდენად სრულყოფილი იყო მსახიობთა თამაში, იმდენად დახვეწილი და გამომსახველი იყო მათი ჟესტები, კარგი იყო კოსტიუმები და დეკორაციები. განსაკუთრებული ქება დაიმსახურა ერთ-ერთი მთავარი როლის შემსრულებელმა ლაურა რეხვიაშვილმა, რომელიც, ხაიმე პოტენსეს აზრით, ყველაზე მკაფიო კომიკური მსახიობია, რომელიც ოდესმე გამოსულა არგენტინის დედაქალაქის თეატრალურ სცენაზე.

ჩემი მხრივ შემიძლია ვთქვა, რომ ლათინური ამერიკის ამ ქვეყანაში სამ წელზე მეტი ხნის განმავლობაში მუშაობის დროს არც ერთხელ არ მომისმენია ამგვარი გამონათქვამები საზღვარგარეთელი შემსრულებლების მიმართ. შეგვიძლია მხოლოდ მივულოცოთ დამსახურებული წარმატება ამ თავისთავად კოლექტივს, რომლის გასტროლები ბუენოს-აირესში, უთუოდ ხელს შეუწყობს საბჭოთა კავშირისა და არგენტინის ხალხთა ურთიერთობის განმტკიცებას.

სპორტი

ეს უკვე მეტისმეტია!

„დინამოს" ისევ უჭირს

ჩვენი გუნდისგან სასწაულს არავინ მოელის, მაგრამ ზედიზედ სამი მატჩის წაგება — ეს უკვე მეტისმეტია! „დნეპრთან", „არარატთან" და „ნეფთჩისთან" შეხვედრებში ნათლად გამოჩნდა, რომ „დინამო" კვლავ კრიზისულ მდგომარეობაშია. ახე შორს ვერ წავალთ. რატომ გვავიწყდება შარშანდელი, უფრო ადრინდელი გაკვეთილები? ეტყობა, ჟურნალისტებმაც და სპეციალისტებმაც უკან უნდა წაიღონ ის ქების სიტყვები, სეზონის სტარტზე თბილისელ ფეხბურთელთა მისამართით ავანსად (!) რომ ითქვა, სად არის ჟურნალისტებისა და სპეციალისტების კრიტიკული თვალი და ღრმა ანალიზი?

აღშფოთებული ვართ თბილისის დინამოელთა მოუნდომებელი, უსახური თამაშით, რომელიც მათ ბაქოში აჩვენეს. არ იგრძნობოდა, რომ გუნდი მოედანზე საბრძოლველად იყო გამოსული. დინამოელებმა ინიციატივა მთლიანად

წერილები კომენტარს

მეტოქეს დაუთმეს და შეხვედრის ბოლომდე ვერაფრით გამოიჩინეს თავი.

რას ფიქრობს გუნდის ხელმძღვანელობა, მთლიანად კოლექტივი, რა პასუხს გასცემს ჩვენს საზოგადოებრიობას, რომელსაც ასე შესტკივა გული შექმნილ მდგომარეობაზე? რას ფიქრობს ან რა ზომებს იღებს „დინამოს" საზოგადოების ხელმძღვანელობა — ჩვენ ხომ კარგად ვიცით, რომ მას შეუძლია და ვალდებულიც არის მიიღოს გადამწყვეტი ზომები. ხომ არ გადააბარა რესპუბლიკის სპორტკომიტეტმა გუნდის ბედ-იღბალი „დინამოს" საზოგადოების და ქ. თბილისის სპორტის ხელმძღვანელებს, ხომ არსებობს რესპუბლიკის სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველო? არ ეჩვენება რესპუბლიკის სპორტკომიტეტის ხელმძღვანელობას, რომ ამ სამმართველოს უფროსი ა. ქქუასელი ბევრს ლაპარაკობს (პრესაში მიცემული ინტერვიუების, გამოსვლების სიხშირე და ზერელობა გვაქვს მხედველობაში) და ნაკლებს მუშაობს?.. რატომ არ ინტერესდება (და თუ ინტერესდება, რაში გამოიხატება ეს) თბილისის „დინამოს" ბედ-იღბლით ჩვენი დედაქალაქის ხელმძღვანელობა? ნუთუ მარტო გულშემატკივართა კლუბის შექმნით გამოიხატება საზოგადოებრივი აზრის გავლენა ან კავშირი რესპუბლიკის ფეხბურთის მეთაურ გუნდთან? სად არის ის სისტემატური შეხვედრები საზოგადოებრიობასთან, რასაც ადრე გვპირდებოდნენ — ერიდებათ თუ არ გვკადრულობენ?

არადა, მითქმა-მოთქმა ბევრია, თანაც უსიამო. ბევრმა ხომ არ დააკავშირა პირადი ქეთილდღეობა და კარიერისტული ამბიცია „დინამოსთან"? ერთი სიტყვით, კითხვა ბევრია, პასუხი კი... ნურავის, პირველ რიგში კი თბილისის „დინამოს" ფეხბურთელებს, ნუ დაავიწყდებათ, რომ ჩვენი ეროვნული გუნდის მდგომარეობაზე ხალხი პასუხს უწინარესად თვით ფეხბურთელებს მოსთხოვს. ხალხი არც მათ დაივიწყებს, ვისაც თანამდებობრივად თუ მორალურად (ფეხბურთის სპეციალისტებს, ვეტერან ფეხბურთელებს ვგულისხმობთ) პასუხისმგებლობა ეკისრებათ საერთოდ ქართული ფეხბურთის და კერძოდ თბილისის „დინამოს" დღევანდელ მდგომარეობაზე.

ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოგვარდეს გუნდში არსებული პრობლემები, გამოვლინდეს ის პოტენციური შესაძლებლობები, რაც დღევანდელ თბილისის „დინამოს" გააჩნია.

ავთანდილ კვალიაშვილი, ვახტანგ ჯანელიძე, ზურაბ ჭყონია, ზურაბ ნაცვლიშვილი,
საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მათემატიკოსები.

აქტიური თამაშის ნაცვლად

ბაქოს „ნეფთჩისა" და თბილისის „დინამოს" მატჩმა ქართული ფეხბურთის გულშემატკივრებს იმედი გაგვიცრუა. ჩვენმა გუნდმა აშკარად სუსტად წარმართა ეს შეხვედრა და აქტიური თამაშის ნაცვლად აქცენტი მთლიანად დაცვაზე გადაიტანა. ასეთ ტაქტიკას, როგორც წესი, მარცხი მოსდევს. მასპინძლები მთელი ორი ტაიმის მანძილზე თბილისელთა საჯარიმო მოედნის მისადგომებთან ტრიალებდნენ, არაერთი სახიფათო მომენტი შექმნეს და შეხვედრის მიწურულს საწადელსაც მიაღწიეს. გოლი ჰუსეინოვმა გაიტანა.

დინამოელთა ეპიზოდურ კონტრშეტევებს სასურველი შედეგი არ მოჰყოლია. ჩვენმა გუნდმა ჩემპიონატში ზედიზედ ორი მატჩი წააგო და, ბუნებრივია, სატურნირო ცხრილში პოზიციები დათმო. მართალია, დინამოელებს ტრავმის გამო რამდენიმე ფეხბურთელი გამოაკლდა, ბაქოში ვერ ითამაშა აგრეთვე საბჭოთა კავშირის ოლიმპიური ნაკრების წევრმა გელა კეტაშვილმა, მაგრამ ეს არამც და არამც არ ამართლებს კოლექტივის ულიმღამო თამაშს. მწვრთნელებსა და ფეხბურთელებს სერიოზული დასკვნების გაკეთება მოუწევთ.

თბილისელებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: გაბელია, გუბაზი (მ. ჯიშკარიანი), თევზაძე, ცვეიბა, არზიანი, ტყებუჩავა, სვანაძე, სულაქველიძე, კორღალიძე, გურული, გ. ჯიშკარიანი.

გუშინწინ გაიმართა მეშვიდე ტურის ბოლო მატჩი: მოსკოვის „ლოკომოტივი" — მინსკის „დინამო" — 0:0.

სატურნირო ცხრილში ასეთი მდგომარეობაა:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინ" კ.	7	4	2	1	10-8	10
„ზენიტი"	7	4	1	2	16-13	9
„ჟალგ."	7	4	1	2	10-7	9
„დინ." მ.	7	4	1	2	9-7	9
„სპარტ."	7	3	3	1	7-5	9
„ტორპ."	7	3	2	2	7-6	8
„ლოკომ."	7	3	2	2	8-8	8
„დნეპრი"	7	2	4	1	6-3	8
„შახტ."	7	2	3	2	7-6	7
„დინ." თბ.	7	3	0	4	13-13	6
„ჩერნომ."	7	3	0	4	4-7	6
„არარატი"	6	2	1	3	4-5	5
„დინ." მნ.	6	1	3	2	5-5	5
„მეტალ."	7	1	3	3	5-10	5
„კაირატი"	7	1	1	5	8-9	3
„ნეფთჩი"	7	1	1	5	2-9	3

მოკლედ

ჭადრაკი. იერში (საფრანგეთი) დამთავრდა ქალთა ტრადიციული საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი (შვეიცარული სისტემით, 9 ტურად), რომლის მონაწილე 8 დიდოსტატს შორის იყვნენ თბილისელები — ელენე ახმილოვსკაია და ქეთევან არახამია.

არახამიამ 9 შესაძლებლიდან 7 ქულა მოაგროვა და ჩეხოსლოვაკიელ დიდოსტატ ელიშკა კლიმოვასთან ერთად I-II ადგილები გაიყო. 6,5 ქულით III-IV ადგილები გაიყვეს ახმილოვსკაიამ და ბულგარელმა დიდოსტატმა მარგარიტა ვოისკამ.

ჩოგბურთი. დამთავრდა სინგაპურის ღია ჩემპიონატი ჩოგბურთში. თბილისელმა ლეილა მესხმა ფინალური შეხვედრა დათმო ინგლისელ მონიკა იავერთან (6:7, 3:6) და მეორე ადგილი დაიკავა. მესხი სვეტლანა პარხომენკოსთან ერთად მეორე ადგილზე გავიდა წყვილთა შეჯიბრებაშიც.

ფეხბურთი. ჭაბუკთა გუნდების ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში საბჭოთა ფეხბურთელებმა ანგარიშით 7:1 დაამარცხეს თურქეთის გუნდი. სტუმართა კარში ორი გოლი გაიტანა თბილისის დინამოელმა ბ. თედეევმა.

ველოსპორტი. ლენინაბადში (ტაჯიკეთი) გამართულ საკავშირო ჩემპიონატზე თავი გამოიჩინა თბილისელმა სპრინტერმა ოთარ მჭედლიშვილმა. მან 500 მეტრზე გიტში საბჭოთა კავშირის რეკორდი დაამყარა — 28,285 წამი.

რაგბი. ქუთაისის ცენტრალურ სტადიონზე ევროპის ჩემპიონატის მატჩი გამართეს საბჭოთა კავშირისა და ესპანეთის გუნდებმა. ანგარიშით 12:7 გაიმარჯვეს საბჭოთა რაგბისტებმა.

სოციალური სფერო

საკურორტო ინდუსტრია
ახალ ეტაპზე

საკურორტო სეზონის წინ ვეწვიეთ საქართველოს პროფკავშირთა კურორტების მართვის რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარეს ნოდარ შარაშენიძეს და ვთხოვეთ გაეცნო ჩვენთვის საქმის ვითარება, თუ რამდენად არიან მზად დამსვენებელთა მისაღებად.

გაზაფხულდა, სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები მალე მიიღებენ დამსვენებლებს. რა მდგომარეობაა ჩვენს სახელგანთქმულ კურორტებზე, მზად არიან თუ არა ისინი მოაგარაკეთა მომსახურებისათვის? ჩვენი მკითხველისათვის საინტერესოა თქვენი დღევანდელი მუშაობის და მომავლის პერსპექტივების გაცნობა.

მოგეხსენებათ, რამდენად დიდი მოთხოვნილებაა სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების საგზურებზე — განსაკუთრებით ზაფხულის „პიკის" თვეებში. ცხადია, ამ მოთხოვნილებას მთლიანად ვერ დავაკმაყოფილებთ, საქართველოს ჯანმრთელობის კერები ჩვენს რესპუბლიკაში მცხოვრებთა გარდა ფართოდ უღებენ კარებს სტუმრებს საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან.

ამიტომ კურორტთა მართვის რესპუბლიკური საბჭო ნიადაგ ზრუნავს საკურორტო ქსელის გაფართოების, მისი შემდგომი განვითარებისთვის. სანატორიულ-საკურორტო მშენებლობაზე შარშან 11,5 მილიონ მანეთზე მეტი დაიხარჯა. ამოქმედდა 12 მილიონი მანეთის ძირითადი საშუალებები, მწყობრში ჩადგა ისეთი ობიექტები, როგორიცაა „წყალტუბო" (42-ადგილიანი პანსიონატი ომისა და შრომის ვეტერანებისათვის), ამავე კურორტზე ჩაბარდა 306 საწოლიანი სანატორიუმი „სამგურალი" და 1000-ადგილიანი დიეტური სასადილო. ბორჯომში მთავრდება საკურორტო პოლიკლინიკა, რომელიც დღეში 3000 კაცს მოემსახურება, მალე დამსვენებლებს მიიღებს სურამის 100-ადგილიანი საოჯახო საძილე კორპუსი. მიმდინარეობს ძველი საძილე კორპუსების რეკონსტრუქცია-მოწყობა. ასეთივე სამუშაოები უტარდებათ სანატორიუმებს „ცაიშს", მენჯის „კოლხიდას", წყალტუბოს „მეშახტეს", „ნაბეღლავს" და სხვა.

სტიქიური უბედურების შედეგების სალიკვიდაციოდ შარშან ბევრი რამ გაკეთდა კურორტებზე: შოვში, უწერაში, ჯავაში, კვერეთსა და მენჯში. აფხაზეთისა და აჭარის კურორტებზე კეთილმოეწყო გამაჯანსაღებელ კერათა ტერიტორიები, პლაჟები და პარკები.

დიდ იმედებს ვამყარებთ ე. წ. წილობრივ მშენებლობაზე. მოგეხსენებათ, სახელმწიფო დაწესებულებებს, საწარმოებსა და უწყებებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ პროფკავშირთა გამაჯანსაღებელი კერების მშენებლობაში. დახარჯული თანხისათვის ისინი საგზურების 90 პროცენტამდე საგზურს მიიღებენ, სანამ ობიექტი იმუშავებს. ამჟამად ამ საქმეში 33 ორგანიზაცია და უწყებაა ჩაბმული და 110 მილიონი მანეთია შემოტანილი. იმედს გაგიცრუებთ, როცა გაგიმხელთ, რომ ამ საქმეში მცირეა ჩვენი რესპუბლიკის საწარმოთა წვლილი, სულ 9 ხელშეკრულება გვაქვს გაფორმებული 26 მილიონ მანეთზე.

არადა, ჩვენს საბჭოს შეუძლია რესპუბლიკის სამეურნეო ორგანიზაციებს გაუფორმოს ხელშეკრულებები ობიექტების რეკონსტრუქციისა და გაფართოების სამუშაოების ჩატარებისათვის ისეთ პოპულარულ კურორტებზე, როგორიცაა ბორჯომი, წყალტუბო, გაგრა, ახალი ათონი, ქობულეთი, შოვი და სხვა. ამ შემთხვევაში ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები გაცილებით მეტ საგზურს მიიღებენ აღნიშნულ კურორტებზე, ვიდრე — დღეს.

გთხოვთ მოგვითხროთ ჯანმრთელობის კერებში მკურნალობის ორგანიზების მდგომარეობაზე.

პროფკავშირთა უწყების ჯანმრთელობის კერებში თითქმის ყველა პროფილის დაავადებათა მკურნალობა მიმდინარეობს, ამის საშუალებას იძლევა როგორც რესპუბლიკის ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორების სიუხვე და მრავალფეროვნება, ისე სპეციალიზებული სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებების ფართო ქსელი, რომელთა საწოლების საერთო რაოდენობამ 13 ათასს მიაღწია.

შარშან წლის ბოლოს პირველი ავადმყოფ-დამსვენებლები მიიღო სპეციალიზებულმა სანატორიუმმა „სამგურალმაც" კურორტ წყალტუბოში და „ქართლმა" — თბილისში. ეს უკანასკნელი განსაკუთრებული ტიპის მრავალპროფილიანი სანატორიუმია. სადაც (ჩვენს რესპუბლიკაში პირველად) გაიხსნა მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტგადატანილ ავადმყოფთა სამკურნალო-სარეაბილიტაციო განყოფილება. შარშან ჩვენი სისტემის ჯანმრთელობის კერებში დაისვენა და იმკურნალა 460 ათასმა კაცმა.

ხარისხოვან მკურნალობას ხელს უწყობს სანატორიუმების სამეცნიერო-სამკურნალო აპარატებით და დანადგარებით მომარაგება, შარშან დამატებით შევიძინეთ უახლესი სამედიცინო აპარატები, რომელთა ღირებულება 200 ათას მანეთს უდრის. განსაკუთრებით აღსანიშნავია კურორტ წყალტუბოში გახსნილი საერთო საკურორტო იმუნოლოგიური ლაბორატორიის უნიკალური მოწყობილობა-დანადგარები.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ მიზანდასახული მუშაობა ტარდება დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ახალი მეთოდების პრაქტიკაში დასანერგად, შარშან ავითვისეთ და წარმატებით ვიყენებთ ლაზერით მკურნალობას გულის იშემიური დაავადების (კურორტი გაგრა) და კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადების დროს (კურორტი ბორჯომი).

პრაქტიკულ საქმიანობასთან ერთად კურორტებზე მომუშავე 12 ექიმი აქტიურად მონაწილეობს სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში, შარშან ბევრი მათგანი წარდგა სამეცნიერო მოხსენებით რესპუბლიკურ, საკავშირო და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე, სიმპოზიუმებზე და სხვა ხასიათის სამეცნიერო ღონისძიებებზე. ამ მხრივ აქტიური მუშაობაა გაშლილი საბაზო სანატორიუმებში — „ლიკანში" (ბორჯომი), „მეგობრობაში" (წყალტუბო) და „კავკასიონში" (გაგრა). სამეცნიერო შრომების საფუძველზე შემუშავებული მეთოდური რეკომენდაციები ფართოდ გამოიყენება პრაქტიკაში.

ავადმყოფთა სამედიცინო მომსახურების ხარისხის შემდგომი ამაღლების მიზნით რესპუბლიკის წამყვან საკავშირო მნიშვნელობის კურორტებზე — ბორჯომში, წყალტუბოსა და გაგრაში უახლოეს მომავალში გაიხსნება საკურორტო-სამკურნალო დიაგნოსტიკური ცენტრები. უკვე მთავრდება მოსამზადებელი სამუშაოები, ძირითადი ნაგებობები აშენებულია, მიმდინარეობს მათი აღჭურვა სამედიცინო აპარატურითა და მოწყობილობებით, ცენტრები კომპლექტდება შესაბამისი კვალიფიკაციის სამედიცინო პერსონალით.

რა სიახლეები ინერგება საკურორტო ცხოვრებაში, როგორ მიმდინარეობს გარდაქმნა თქვენს სისტემაში?

დიაგნოსტიკური ცენტრების შექმნაზე უკვე გესაუბრეთ. ეს მნიშვნელოვანი სიახლეა ჩვენს მუშაობაში. ამას გარდა, ნავარაუდევია სხვა ცენტრების ჩამოყალიბებაც. კერძოდ, საგზურიან თუ უსაგზუროო, ე. წ. „არაორგანიზებულ" დამსვენებელთა და ადგილობრივი მოსახლეობის ჯანმრთელობის აღდგენა-გაუმჯობესებას ხელს შეუწყობს სამეურნეო ანგარიშზე მომუშავე გამაჯანსაღებელი ცენტრების შექმნა კურორტებზე: ბორჯომში, წყალტუბოში, გაგრასა და მენჯში. ამ ცენტრების ნაწილი დაარსდება წელსვე, ნაწილი კი — გაისისათვის.

ისევე როგორც წინა წლებში, მომავალშიც დიდი ყურადღება დაეთმობა მოზარდთა, მშობელთა და ბავშვთა ერთდროული მკურნალობის ორგანიზებას. ამისათვის ვამზადებთ ქობულეთის, გუდაუთის, ნაბეღლავის, სურამისა და სხვა კურორტების სანატორიუმებს, სადაც მიმდინარეობს რეკონსტრუქცია-გაფართოების, კეთილმოწყობის სამუშაოები.

ჯანმრთელობის კერების მართვის ორგანიზაციაში დემოკრატიული საწყისების გაფართოების მიზნით დიდი ყურადღება ექცევა „დამსვენებელთა საბჭოს" მუშაობას, მან ხელი უნდა შეუწყოს როგორც სამკურნალო-დიაგნოსტიკური პროცესის, ისე კულტურულ-მასობრივი მუშაობის გაუმჯობესებას.

ამჟამად ვნერგავთ მეურნეობრიობის ახალ პრინციპებს, რაც ერთ-ერთი ძირითადი ეტაპია საკურორტო სისტემის სრულ სამეურნეო ანგარიშზე და თვითდაფინანსებაზე გადასასვლელად.

გამოდის, რომ კურორტებზე იდეალური პირობებია შექმნილი და მუშაობის არავითარი ხარვეზები არ არის მოსალოდნელი.

ასე რომ იყოს, რა გვიჭირს. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი გვაქვს.

თითქოსდა მოვაწესრიგეთ სამკურნალო და რაციონალური კვების საქმე. კვების ბლოკების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა გაუმჯობესდა. სანატორიუმებსა და საკურორტო დაწესებულებებში შევქმენით კულინარიული საბჭოები და გვეიმედება, რომ ისინი დიდ როლს შეასრულებენ კვების გამრავალფეროვნებისა და კერძების სრულფასოვნების მიღწევაში. მაგრამ რა ფასი ექნება ამ ღონისძიებებს, თუ სიძნელეებს შევხვდებით, მაგალითად, რძის პროდუქტებით, ახალი ხილითა და ბოსტნეულით მომარაგებაში? დამსვენებელთა საჩივრების მომეტებული ნაწილი ამ თემას შეეხება.

ცხადია, კვლავ ვხვდებით ავადმყოფ-დამსვენებელთა მომსახურებაში უყურადღებობის ფაქტებს, ანტისანიტარიას, ზოგიერთი საკურორტო დაწესებულების ხელმძღვანელს ნაკლები კონტაქტები აქვს დამსვენებლებთან. ჯეროვნად ვერ აფასებს პირადი შეხვედრების, მათი მოთხოვნილებებისა და სურვილების მოსმენისა და საჭიროების შემთხვევაში რეაგირების სიკეთეს.

პროფკავშირთა სისტემის საკურორტო-სამკურნალო დაწესებულებებში ჯერ კიდევ მწვავედ განიცდიან საექიმო კადრების ნაკლებობას. ამის ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ სამშენებლო ორგანიზაციები ბინათმშენებლობის იმ მოცულობის სამუშაოებსაც ვერ ასრულებენ, რომლის დაფინანსებაც შეუძლია საქართველოს პროფკავშირთა კურორტების მართვის რესპუბლიკურ საბჭოს. უბინაო ახალგაზრდა ექიმებიც ტოვებენ რაიონს და შინ ბრუნდებიან.

კვლავ უნდა ვუსაყვედუროთ ტრანსპორტის მუშაკებს. გადაჭრილი არ არის დამსვენებელთა გამგზავრებასთან დაკავშირებული პრობლემები. სამოქალაქო ავიაციის საქართველოს სამმართველომ თავის სააგენტოებს სოხუმში, ბათუმსა და ქუთაისში მიუთითა იმის თაობაზე, რომ პროფკავშირთა ჯანმრთელობის კერების დამსვენებელთათვის გამოყოს სამგზავრო ადგილების 30 პროცენტი, მაგრამ ყველა სააგენტო როდი ასრულებს მითითებას, გამოვლინდა დამსვენებლებისათვის უარის თქმისა და მოლარეთა უხეში დამოკიდებულების მრავალი შემთხვევა.

თბილისის, სოხუმის, გაგრის, წყალტუბოს და სხვა საკურორტო რაიონების რკინიგზის სადგურებში ჯერაც არ გამოუყვიათ სალაროები, სადაც შეიძლება ბილეთის შეძენა საგზურით ან საკურორტო წიგნაკის წარდგენით.

კავშირგაბმულობის სამინისტრომ ბევრი რამ გააკეთა. მაგალითად, პირველი სატელევიზიო პროგრამის მიღება შესაძლებელი გახდა შოვში, მწყობრში ჩადგა ახალი სატელეფონო სადგური წყალტუბოში. აფხაზეთისა და აჭარის კურორტებს დაემატათ სატელეფონო ავტომატები. მაგრამ პირველ სატელევიზიო პროგრამას კვლავ ვერ იღებენ კვერეთსა და ნაბეღლავში. ვერ გადაწყდა აგრეთვე სამარხიანი რადიოტრანსლაციის საკითხი გაგრაში, ბიჭვინთაში, წყალტუბოში ბორჯომში, ქობულეთში და სხვაგან.

ასე რომ, ნაკლოვანება და დაბრკოლება ბევრია, რომელთა დაძლევა მოგვიხდება, დიდ იმედებს ვამყარებთ მართვის ახალ მეთოდებზე და რადიკალურ ეკონომიკურ გარდაქმნაზე. მდგომარეობა უთუოდ უნდა გამოსწორდეს.

საუბარი ჩაიწერა
ნ. ნორაკიძემ.



რედაქციის მისამართი:
380096, თბილისი,
ლენინის ქ. № 14

ტელეფონები:
ცნობებისათვის — 93-95-54
მშრომელთა წერილების განყოფილება — 99-73-24

საკორესპონდენტო პუნქტები:
სოხუმი — 2-40-19; ბათუმი — 3-41-69; ცხინვალი — 2-22-52; ქუთაისი — 5-26-36; რუსთავი — 14-27-87; გორი — 2-33-10; სამტრედია — 2-19-90; ზუგდიდი—2-28-40; მახარაძე — 6-34-44; ზესტაფონი — 5-56-36; თელავი—3-12-09; ტყიბული — 25-82.

ტელევიზია—სამშაბათი, 26 აპრილი

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 7.30 — „120 წუთი". 9.35 — ფილმ-სპექტაკლი. 16.30 და 18.10 — ახალი ამბები. 16.45 — პერმის ტელესტუდიის პროგრამა. 17.45 — კინონარკვევი „ლომის მთების ქვეყანაში". 18.15 — „ავტოგრაფი". 19.30 — მულტფილმი. 19.40 — დღეს მსოფლიოში. 20.15 — „პოზიცია". მთიანი ყარაბაღი. ისტორია და დასკვნები. 22.00 — „ვრემია". 22.40 — გარდაქმნის პროჟექტორი. 22.50 — პოეტ ლ. ი. ოშანინის შემოქმედებითი საღამო. შესვენებისას — 0.05 — დღეს მსოფლიოში.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი. 9.35 და 10.35 — მუსიკა. II კლასი. 10.05 — ფრანგული ენა. 11.05 — პროფტექნიკური სასწავლებლებისათვის. ესთეტიკური აღზრდა. 11.35 და 12.35 — ისტორია. VI კლასი. 12.05 — ფრანგული ენა. 13.05 — მხატვრული ფილმი „პარაშუტები ხეებზე". I სერია. 14.10 — ქალაქები და წლები. ტელეფილმები. 14.50; 19.00 და 0.50 — ახალი ამბები. 14.55 — მხატვრული ფილმი „კარლ მარქსი. ახალგაზრდობის წლები". I სერია. დაბადების 170 წლისთავის გამო. 19.15 — მუსიკალური კიოსკი. 19.45 — რიტმული ტანვარჯიში. 20.15 — შოპენის მაზურკები. 20.40 — დოკუმენტური ფილმი. აკადემიკოს ორბელის ბიოგრაფიიდან. 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!". 21.15 — „...თექვსმეტ წლამდე და უფროსი ასაკისა". 22.00 — „ვრემია". 22.40 — გარდაქმნის პროჟექტორი. 22.50 — კინოპანორამა. 0.20 — „დილის ფოსტა".

თბილისი

პირველი პროგრამა. 13.00 — „ნაშუადღევს". 13.45 — ათლეტიზმი. 14.00 — ქართული ენის ტელეკურსი. 14.30 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „გომბეშოები". 15.00 — კინოჟურნალი „მინდა ყველაფერი ვიცოდე". 15.10 — აბიტურიენტთათვის. ქიმია. 15.40 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 15.50 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 16.00 — შევისწავლოთ ინგლისური ენა. 16.30 — თბილისის საერთაშორისო ტურნირი წყალბურთში. 17.00 — დიალოგი პოლიტიკურ თემაზე. 17.35 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ახალგაზრდობა მწყობრში". 17.55 — განცხადებები. 18.00 — ახალგაზრდობისათვის. „ბერიკაობა". 18.20 — მოსწავლეთათვის. „ჩვენი სადისკუსიო კლუბი". (სატელევიზიო ფილმის „გაიცანით ჩვენი შვილების" განხილვა). 20.00 — მოამბე. 20.35 — „ალო, აუქციონია!". 21.25 — ხალხური შემოქმედება. „ფანდურზე დანამღერები". 22.00 — „ვრემია". 22.40 — გარდაქმნის პროჟექტორი. 22.50 — მაყურებელთა თხოვნით. მხატვრული ფილმი „არ იდარდო".

მეორე პროგრამა. 17.05 — მოსწავლეთათვის. გეოგრაფია. 17.50 — მხატვრული ფილმი „ცხვირა ჯუჯა". 18.50 — „ცენტრალური ტელევიზიის გავლითი ფონდიდან". სატელევიზიო დოკუმენტური ფილმების პროგრამა. 20.00 — მოამბე. 20.35 — მხატვრული ფილმი „სენტიმენტალური მოგზაურობა კარტოფილის ასაღებად".

რედაქტორი
ნ. ფოფხაძე.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 05311 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო ქორპუსი, ხოშარაულის 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14